

კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, საპედაგოგო და სალიბერალური ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 24

ივნი 7 1898 წ.

№ 24

შინაარსი: საზოგადოების საყურადღებოთ.—ინკლიგენცია ნ. ჟორდანიას.—სხვა-და-სხვა ამბავი, —ყვადის კორესპონდენტები.—ვირიდან ვირამდე — ზ. ლუქა ი. ევდომელისა.—საიდუმლო ბარათები კორანცისა.—პ. ნ. ბაღანიჭავაძის მეორე ქართული კონცერტი.—მგზავრის შენიშვნებ (გაგრძელება) ფ. პატრიშვილი—სა—ქართლის ცნობების გადმოცემა ქართული ენის შესახებ (დასასრული) ფ. მახარაძისა.

რედაქციის ადრესი: არცილეორის ქუჩა კაღეტის კორპუსის გვერდით სახლი თამაშპოვსა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

რედაქციისაკენ: ამით ეაცობებთ ჩვენ ხლის-მოძვერით, რომ აკვალის უკანასკნელი № 23, ჩვეულებრივით, ყველას გაეგზავნა.



საზოგადოების საყურადღებოთ

ეს 19 წელიწადი ჩვენი არსებობის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ წლის განმავლობაში მისი მოღვაწეობა ისე წელი ნაბიჯით წარმოგებს, რომ კაცს ჰგონია ალარც-კი მოღვაწეობსო. საზოგადოების წევრები ისე გულგრილად ეცილებიან ამ საქმეს, რომ იშვიათად თუ ეინ-მე მათგანს საწევრო ფული შემოაქვს და კიდევ უფრო იშვიათად საზოგადო კრებას ესწრება. ამ საერთო აპატიის, ამ საერთო უყურადღებობის ერთი უმთავრესი მიზეზი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს თვით გამგეობის მოქმედებაში. გამგეობას ირჩევს წევრთა

კრება, წადი და მართე ჩვენი საქმეებო. მაშასადამე გამგეობა პირდაპირ პასუხისმგებელია წევრთა წინაშე. ხოლო ეს პასუხისმგებლობა იხატება იმაში, რომ ის მთელ თავის მოქმედებას კრებას წარუდგენს და კრიტიკას ქვეშ გაატარებებს. წესდების მე-20 მუხლი ამბობს: „გამგეობა საერთო კრებას წარუდგენს ყოველ წლივ დაწესებულების ანგარიშს საზოგადოების მდგომარეობის და მოქმედებისასო.“ ხოლო გამგეობა ასეთი დაწერილებითი ანგარიშის მაგიერ ძალიან მოკლე, მშრალი ციფრებისაგან შემდგარ „ანგარიშს“ აცნობებს წევრთა კრებას. ამის საოცარი მაგალითია სენაკის სკოლის საქმე. გამგეობა წესდების ძალით მოვალე იყო ამ საქმის ვითარება დაწერილებით ეუწყებია კრებისათვის, რომელიც 30 მისის მოხდა; მარა მან ეს ოროდელ სიტყვით მოიხსენია თავის „ანგარიშში“: სენაკის სკოლის მასწავლებელთა და ინსპექტორს შორის უსამართლობაა და ასე მთელი ეს ვეებერთელა საქმე კრებას განზრახ დაუშალა. და რომ „კვალში“ არ ყოფილიყო ამის შესახებ წერილები, კრებას, ამ ნამდვილ ბატონს საზოგადოების საქმეებისას, არაფერი არ ეცლინებოდა ამანე.

კ. შარქისი ს.ბ. ს.კ. სარ
სახელმწიფო რ. სპობლიც



წესდების მე-13 მუხლი ამბობს: „საზოგადო კრების საგანია დანიშნენა, საქორების დროს, კომისიისა, რომელსაც მიენდობა საზოგადოების განსაკუთრებით საქმეების განხილვა.“ მარა რადგანაც გამგეობა ყოველსავე განსაკუთრებით საქმეებს ცხრა-კლდულში ინახავს, კრებაც ვერ სარგებლობს ამ უფლებით. ამით გამგეობა აუქმებს წესდების ამ მუხლს. წესდების ძალით გამგეობას უფლება აქვს რაიმე მძიმე კითხვის გადასაწყვეტათ მოიწვიოს წევრთა არაჩვეულებრივი კრება (§ 11), ან და თავის სტომამაზე საზოგადოების რამოდენიმე წევრი მოიწვიოს რჩევისათვის (§ 21). სენაკის სკოლის საქმე ერთი ასეთი მძიმე კითხვაა, ხოლო გამგეობას არა თუ არა-ჩვეულებრივი კრება, ან და სხლომანე წევრის მოწვევა არ უციქრია, არამედ ახლანდელ ჩვეულებრივ კრებასაც უნდა არ მისცა ამ საკანზე თავისი აზრი წარმოეთქვა¹⁾. წესდების მე 13 მუხლით კრების უფლება „შედგენა და დამტკიცება დარჩებულსა (ინსტრუქციისა) საზოგადოების სხვა-და-სხვა საქმეთა საწარმოებლათ.“ ხოლო გასული წლის გიორგობისთვეში გამგეობამ სენაკის სკოლას შეუდგინა და გაუფხავნა ორი ინსტრუქცია და წელს კრებისთვის არ წარმოუდგინა არც განახილველათ და არც დასამტკიცებლათ. ერთი სიტყვივით გამგეობა სისტემატიურათ აუქმებს კრების უფლებებს და თვითონ ისაკუთრებს. მან უფლების უზურპაცია მოახდინა: თვითონ კენჭით არჩეულ მეკენჭეთა მიმართ თითო-მასკომოდლობის გზას დაადგა. ამით მან საზოგადოების წართვა საქმეთა შედამხედველობა და თავის თავის ასარჩევ მანქანათ ვადაქცია. მან წევრები დაშორა საზოგადოების საქმეებს და დაუკარგა ყოველივე ხალისი მონაწილეობის მიღებისა. და მართლაც რა სა-ინტერესოა იმ კრებაზე წაწვლა, სადაც მშრალი კითხვების მეტს არას წარმოგიდგინებ? ამ ვარკობებზე უკან დაქანა თვით წ. კ. საზოგადოება და თუ წევრებმა ასაღვე არ მიიღეს ზომები თავის უფლებების ასადგენათ და გამგეობის სათანადო საზღვრებში ჩასასმელათ, ეს ერთათ ერთი სასარგებლო დაწესებულება, სამუდამით დაეცემა და ბოლოს ერთიანთ ვაჭკრება.

ინტელიგენცია.

III

მეორე წერილში ჩვენ გამოეთქვით ის აზრი, რომ ინტელიგენცია, როგორც ნასწავლი ხალხი, ამა თუ იმ სპეციალური საგნის მკოდნე, დღევანდელი ცხოვრების აუცილებელი საჭიროებაა. მარა ინტელიგენცია, როგორც საზოგადო მოძრაობის წინამძღოლი და მისი მდღროზე, დროებითი და წარმავალია. ეს წინამძღოლობა უფრო ხშირათ თავის თავის წინამძღოლობაა, თავის ლტოლულების გამაძაბულობაა, ეინემ ხალხის. როცა ხალხი ისე დაძაბუნებული და წელში გატეხილია, რომ ჯერ კიდევ საკუთარ ფეხზე ვერ დამდვარა და სხვა-და-სხვა გამდლებს ანაბრათ დარჩენილა, ეს გამდლებიც მეცადენობენ ის იქით შეატრიალონ საითყენაც მათ სურთ, ისე აღზარდონ, როგორათაც ამას თითონ ხედვენ საჭიროთ. აქ ამ-ბოდენს: ყველაფერი ხალხისთვისო, მარა ეს ისე რომ თითონ ხალხმა ამ თავის საქმეში მონაწილეობა არ მიიღოს, თითონ მას არაფერი ეკითხოს; ხალხი ბრწყვია, უციკია, თავის საჭიროებას ვერ მიხედება და ვერ შეიგნებს—ამობენ ეს ბატონები. მაშასადამე ამ ბრყვის მოვლა და განკითხვა უნდა და არა გვერღში ამოყვენება, საზოგადო საქმეში ჩაზმა. აი ასე აზროვნობს, სხვათა შორის, ინტელიგენციაც და ამასვე უჩინებებს ხალხსაც. ამ ხანის განმავლობაში ერის ნიეთერი ყოუა ცხოვრება იცლებება და მასთან ერთათ იცლებება მისი საზოგადოებრივი განწყობილება და ურთი-ერთობა. ახალი პირობები ძალას ატანს ხალხს შეცვილოლ ვარემოებას შეეწყოს, შეეთვისოს, ხოლო ამისათვის კი საჭიროა მთელი გრძობა-გონების, ფიქრის და აზროვნების ვარდაქმნა, ვაწერონა, განახლება. და აი ამ გზაზე ის ნელ-ნელა ვითარდება, მაღლა იწევა და თავის ცხოვრების სათავეში თითონევე დგება. ინტელიგენცია ხელიდან ავლებს მოწინაეობის დროშას, არის ეს ნამდვილი თუ წარმოდგენილი, და აქეთ-იქით ივანტება. თითოეულ ინტელიგენტს შეუძლია მეთაურობა ვაწვიოს ამა თუ იმ ჯგუფს, ამა თუ იმ პარტიას ან კლასს, მარა თვით ეს პარტია თუ კლასი წარმოიშვა და მოზულათ სრულიად მისგან დამოუკიდებლათ, მან მშოლათ ნახა ის სარბიელზე გამოსული და მიეკვლია ის ასე ვთქვათ, სტუმრათ მოსული პირია, რომელმაც თავისი მოქმედებით უნდა მოიპოვოს მეთაურობის უფლება. მარა სანამ ამას მოიპოვებდეს, სანამ ის იმ წრის ხორცი-ხორცთაგანი შეიქმნებოდეს, მანამდის ბეგრნარი დაბრკოლებებს გამოივლის, ბეგრნარი ბრძოლა მოუხდება და ბოლოს ან ვაიმარჯვებს ან

1) კრების ანგარიშდინს (აგერბა № 116*): „კ. ა. ანაშივი. კრებამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი სენაკის სკოლის საქმის შესახებ. თავმჯდომარე თ. ო. ჭავჭავაძე: ნუბას არ მიეგვი კრების თავისი აზრი წარმოთქვას, რადგან თვით გამგეობას არ აქვს შედგენილი თავისი საზოგადო აზრი.“ გამოდის, რომ გამგეობა კრების უფროსი და კრება მისი უფროსადი მონა ყოფილად! ეს წესდების ამკარადრეკვაა.

და დამარცხებული უკუ იქცევა. ერთი ასეთი ბრძოლა დახასიათებულია იბსენის შესანიშნავ ღრამაში: „ხალხის ერთი მტერი.“ სტოკმანი, გამოჩენილი ნაწიწავლი და მეცნიერი, გამოვიდა საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე და ერთ სახალხო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა. მარა მისი სიტყვა ცუდათ იქმნა მიღებული და იდი წინააღმდეგობა გამოიწვია მაყურებელთაგან. და აი მთელი თავისი მჭევრმეტყველობით ქუხს ის ხალხის წინააღმდეგ: „მე ვისწავლე, ამბობს ის, მათ კი არ უსწავლიათ, მე ვიცი, მათ კი არ იციან, მე შემიძლია ეს წყალი დავანაწილო, მანენ მიკობები აღმოვაჩინო, მათ კი არ შეუძლიათ ეს.“ ცხადა, სტოკმანი პრეველბას ჩემობს იმ საბუთით, რომ მას უმაღლესი სწავლა მიუღია, ქიმია შეუსწავლია. და განა იქ, სადაც ის შეურაცხვეს, ქიმიაზე იყო ლაპარაკი? რასაკვირველია არა, აქ ირჩეოდა კითხვა ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური—ერთი სიტყვით ის საგანი, რაც შეუცავს საზოგადო მიმდინარეობის დედა-ძარღვს, საზოგადო შერობის დედა-ბოძს. ეს შერობა კი თვით ხალხზე, ხალხის ცხოვრების პირობებზე არს დაყრდნობლი. მისი შეხედულობა და აზროვნება ამარცხებს თუ ასუსტებს ამ შერობას, ხოლო ეს შეხედულობა იცლენება იმდენათ, რამდენათაც იცლენება ერის ნივთიერი წყობილება.

მარა ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ ამ ნივთიერ რყევასთან არავითარი კავშირი არ აქვს ქიმიას და მექანიკას? ნუ თუ სტოკმანი არ იღებს მაშინ მონაწილეობას? და საზოგადოთ, რანაირი დამოკიდებულება სუფევს მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის? ყველამ იცის, რომ მეცნიერებამ თავისი აღმოჩენებით ერთიანთა გადატარიალა ცხოვრება: რკინის გზა, ტელეგრაფი, ტელეფონი, სხვა-დასხვა მანქანები აი დღევანდელი ურთი-ერთობის საძირკველი. აშკარაა, მეცნიერება მიიღობს ადამიანის ცხოვრება შეცვლის, გადასხვათეროს, გააადვილოს. ერთი სიტყვით მეცნიერება ცხოვრებასათვის არის. ეს თუ ასეა, მაშ ამ თუ იმ გამოკონების მიხეზი ცხოვრების საჭიროება ყოფილა. და მართლაც, რატომ მთელი ეს გაუმჯობესება ამ უკანასკნელ ერთ საუკუნეში მოხდა და არა წინეთ? იმიტომ რომ მეცნიერება წინეთ არ იყო იმდენათ განვითარებულია—მეტყვიან. ამით არაფერი არ თქმულა, კითხვა სწორეთ იმაშია თუ რატომ არ იყო ის განვითარებული. ცხადა, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა თვით მეცნიერებაში, თვით მეცნიერთა გონებაში, არამედ ისტორიაში, ისტორიულ მსვლელობაში. როცა ცხოვრება ისე რთულდება, რომ ძველ კალაპატში ელარ ეტყია, ძველ-ბურჱი წარმოება აღარ ჰყოფნის და მით მისი მიმდ-


ნარეობა ფერხდება—აი მაშინ უთუოთ შემოღებულ უნდა იქნეს ახალი იარაღები, ახალი წყობილება, რომ მით საზოგადოებამ თავისი გზა ისევ განაგრძოს. სწორეთ ეს აუცილებელი საჭიროებაა მიხეზი, რომ მეცნიერება ასეთ დიდ ნაბიჯს აკეთებს. რკინის გზა შემოღებულ იქმნა მაშინ, როცა წარმოების მღვრა-მარეობა და საქონლის ტრიალი უშეკველათ ჩქარა და სწრაფ მიზისკლს მოითხოვდა. ვადაიტანეთ ის ევლურ ხალხში და მას დაამტკიცენ. რა-ლა ევლურში, თვით კულტურთან ჩინეთმა ამ ოცი წლის წინეთ დაანგრია ევროპიელთა მიერ გაკეთებული რკინის გზა, ხოლო ახლა კი თითონ ამენებს. ერთი სიტყვით, მეცნიერების უკანასკნელი მიზანია ცხოვრების გადაღლება და თითოეული მისი აღმოჩენა ხდება მაშინ როცა ცხოვრების საჭიროება ამას აუცილებლათ მოითხოვს. მაშასადამე მეცნიერების ძირი და დასაბამი იგივე ისტორია, ისტორიული განვითარება ყოფილა. ამიტომ არის რომ საზოგადოებას უფრო ამოძარავეს და აღვლევს პოლიტიკო-ეკონომიური კითხვები, ვინმე ქიმიური ვინდ ასტრონომიული. იშვიათია დღეს ისეთი მეცნიერი, რომელიც რომელსამე პოლიტიკურ მოძღვრებას არ აღიარებდეს, პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდეს.

ამ ნიშათ, მეცნიერების ასეთი თუ ისეთი განვითარება ხდება ასეთ თუ ისეთ ისტორიულ პირობებში. ცხოვრების მსვლელობასთან მჭიდროთ დაკავშირებულია ჭკუა ცონების მსვლელობა. რა სახისა არაი ეს თანამედროვე ცხოვრება? რა შეადგენს მის ძირითად თვისებას? ახლანდელი ხანა—თუ მრეწველობის და აღებ მიცემობის ხანაა. მის თეს და ბოლოასაც მრეწველნი ანუ ბურჱუაზია შეადგენს. და აი ამ ბურჱუაზიის აღორძინებასთან ერთათ წარმოებს მეცნიერების აღორძინება. მეცნიერების ყოველივე ნაბიჯი დატრიალდა აი ამ კლასის სასარგებლოთ. ან კი შესაძლებელი იყო სხვაფერ? მაშინა საჭიროა წარმოებისათვის, წარმოება კი ბურჱუაზიის ხელშია. მაშინასაც ის იძენს და იყენებს თავისთვის, არა ერთი და ორი აღმოაჩენი მომკედარა სილორიბეში, ხოლო მისი აღმოაჩენის წყალობით სხვას მილიონები შეუძენია. ამასთანავე, ყოველივე ახალი მანქანის შემოღება ნიშნავს იმავე დროს მუშათა რიცხვის და მუშათა ქარის შემცირებას. გამოდის, რომ მეცნიერება აუმჯობესებს წარმოებას, არა ცხოვრების გასაადვილებლათ, არამედ ცხოვრების გასაძნელებლათ. და მართლაც, თუშეა მეცნიერების მიზანი ცხოვრების გაუმჯობესებაა, მარა ნამდვილათ კი უმჯობესდება მხოლოთ ერთი კლასის, ერთი ნაწილის, ცხოვრება. ნასწავლი ხალხი თავის უნებურათ ემსახურება შეძლებულ ხალხს. აი ამ გარემოებამ დაბ-

და კითხვა: რა გზით შეიძლება ეს ვაჟმეზობელთა მოხდეს მთელი ხალხისთვის? რა ნაირათ მოეწყობა ისე, რომ მეცნიერებით ყველა კლასმა თანაბრათ ისარგებლოს? აი თანამედროვე პრობლემა, აი თანამედროვე საქირ-ბოროტო საგანი. მარა ეს არის კითხვა არა ტრენიკურით ან და მეცნიერული, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური. ამის ვადამჭერლება არა ნასწავლნი, ინტელიგენტები, არამედ თვით ეს კლასები, თვით ხალხი. ამისათვის კლასები შეეჯახენ ერთმანეთს, პარტიები გამოვიდნენ ბრძოლის ველზე და ლამის არის ქვეყანა ერთიანათ გადატრიალან. აი ეს კლასთა ბრძოლა დაედა საფუძვლათ დღევანდელ ურთიერთობას, ეს ისლერბია, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ცხოვრება და აზროვნობა. ერთი სიტყვით, ეს ერთათ ერთი სამდროეო კითხვა და ვინც ამას უფრთხის, ვინც ამაში მონაწილეობას არ ღებულობს, ვინც ყოველსავე ამას მაღლიდან დაჟურებს, გინდ შორიდან სეირს უტყვებს, მას არავითარი წარმოადგენს არ აქვს არც ცხოვრებაზე, არც მეცნიერებაზე და არც რამე თანამედროვე საქირაებაზე. ის მედარია აწყოსთვის და მეკრათ დარჩება მომავლისთვისაც. და მას აქ ვერ უშველის ვერც დიპლომი და ვერც ინტელიგენტური მედიდურობა...

ამით ვთავებთ ამ ჭაბუხ ინტელიგენტიაზე საუბარს.

ნ. ჟორჯანია.



სხვა-და-სხვა ამბავი.

საქეასის მთავარ-მართველი თ. გოლიცინი ამ ერთი კვირის წინ პეტერბურლიდან თფილისში დაბრუნდა. უმაღლესათ კიდევ უფრო გაუარათებულ იქმნა მისი უფლებები და ბევრ იმ ადგილობრივ საქმეებს, რომელთა ვადწყვეტა სამინისტროზე იყო დამოკიდებული, ამიერიდან ვადწყვეტს მთავარ მართველის საბჭო. მაგ. ნება ეძლევა: ჯარიმა დაადვას რუსულ დრო-გამოშვებით გამოცემებს; *) ნება დართოს ყველა კავკასიის გამოცემათ, ხელის მოსაწერ ფულის რაოდენობა შეეკალოს, დაკეტ-აკრძალოს ყოველგვარი საჯარო წიგნთ-საცავ-სამითხველონი; დაადენოს ქალაქებში: ყველა სახლის პატრონიმ პოლიციას განუტყადოს მდგომრთა მოსელთა და ვადსენლა და აგრეთვე მათი ვინაობა და სხ.

თფილისის ხელ-სანთა ყროლობამ ვადდავა 500

*) აქამდე მხოლოთ ადგილობრივ ენებზე გამოცემებს დასვა შეკლე.

მანეთი ხელოსანთა ობლების გამოსაზრდელათ სახელოვნო სასწავლებელში.

პირველთა იანერიდან პირველ იენისამდე თფილისში საჯაროთ გაყიდულთა 16 ათას 311 მანეთის მიძიარე ქონება. აი, რა ნაირათ ღატაკდება მცხოვრებთა ერთი ნაწილი.

ამ მოკლე ხანში თფილისში აპირობენ თფილისის სააქციონერო ნათის მწარმოებელთა „კომპანია“ შეადგინონ. ძირის ფული ექნებათ ნახევარი მილიონი მ. თითო აქცია ეღირება 250 მ. ხმა ექნება იმას, ვინც ათ აქციას შეიძენს.

ბრილის გლეხთა დამცველმა, რომელთაც თ. დისასიძის მოკლეო ზარდლებათ, პალატის განინებაზე კასაცია ვადიტანა სენატში.

განზარება აქეთ გორის მხრა ვაჟყონ ორ მხრათ: გორის და სურაის.

თფილისის და ქუთაისის თავად-ზნაურთა მამულზე ვაწერილ ვადსახადთა რაოდენობა მომავალი სამი წლისთვის უკვე დამტკიცა მთავარ-მართველის საბჭომ. სულ არის დაბაჟული ერთ მილიონ დესიატინამდე, ხოლო ბაჟია 25 ათას მანეთამდე. წინა წლებში უფრო მეტი მიწა იყო დაბაჟული, ვინემ ახლა არის. ყველაზე მეტი ბაჟია ვაწერილი გუბიის თავად-ზნაურობაზე. აქ 8,171 დესიატინაზე 3,717 მ. ვაწერილი, ხოლო ქუთაისის მხრაში, 38,212 დესიატ. 2,006 მ. ვაწერილი და ასე სხვა მხარებშიაც.

რამდენიმე ქართველ ახალგაზდამ დააარსა წიგნის გამოცემელი ამხანაგობა „შრომა“. ამხანაგობის საფუძველი აშენებულია პავებზე, გამოიცემა სულ ორასი პა, რომლის გაყიდვა მიწობილი აქვს გამგეობას და სარედაქციო კომისას. პაის პატრონს მიეცემა დღეიდენდი და ან ამის მავიერ, თუ მონსურებებს, გამოცემული წიგნები. პაი ღირს სამი მანეთი. ამხანაგობას ეყარლება აგენტები ყველა დამა-ქალაქებში, რომელთა მოვალეობა იქნება გამოცემული წიგნების გაყიდვა და აღებული ფულის გამკვებაში გამოგზავნა. წიგნები იქნებიან იაფ-ფასიანი და შინაარსით ისეთი, როგორიც „ახალი მკითხველის“ გამოცემანი იყო. დაბეჭდილი წესდებები ვეგზავნებთ აგენტებს.


ახ. მიმ. წერენ სოხუმიდან: სამრეელო სკო-

ლებში მოწაფეთა რიცხვმა ძალიან იკლო, ამის მიზეზია სწავლების ახალი წეს-რიგი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან დაარსებული სამეურნეო ჩრევი, რომელიც შევგება სხვა დასხვა დიდ მეკამულოს და სამინისტროს მოხელეებისაგან. რჩევის მიზანია სამეურნეო კითხვები აღძრას და მთავრობას მოთხოვას მისი ანუ თუ ისე გადაწყვეტა. 27 მაისს მოხდა ჩრევის არა-ჩვეულებრივი სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ერთი შემსპულის პროექტი მუშათა დაქირავების შესახებ სოფელში. შერწმუნულია, რომ მუშა ექირავება პატრონს, მერე აღარ მოეწონება იქ ყოფნა და უკეთეს ალაგას მიდის, ან და სრფლის სულ ტრავებს და ქალაქში ემგზავრება. აი, ამ საგანს შეეხება პროექტიც, რომლის ძალით მოქირავებს და დამქირავებელს შორის ფორმალური პირობა უნდა იქმნას შეკრული აგრეთ წოდებულ მუშათა წიგნაკების საშუალებით. პირობის დამრღვევი ისეგება. რჩევის უმრავლესობამ არ მოიწონა ასეთი ხელ-ფეხის შემზოპველი პროექტი და გამოთქვა ის აზრი, რომ საჭიროა ხალხის საზოგადო განვითარება, გრანბრითი მალა აწევა და არა შემავიწროებელი ზომებიო.

საფრანგეთის ახალმა არჩეულმა პარლამენტმა უკვე გამოიღო შესაფერი ნაყოფი: ოთხ იენისის სხლამაზე მელიონის კონსტიტუციული სამინისტრო, რამელიც აცერ თორქის ორი წელია საფრანგეთს ვაჩეებს, დავცა. მოსალოდნელია რადიკალთა სამინისტროს შედგენა ლეონ ბურჟუას მეთაურობით.

ჩვენ მივიღეთ ნაჭყარი მოკტის ქან განგვიდის ლექსთა კრება ავტორის სურათით. წიგნი შეკტით სეფთა და წინსკუღათ არის დაბეჭდილი. შეიკატეს 93 ბეჭდეს და ღირს ათა შაჟრან.



„სკვალის“ კორესპონდენციები.

საჟი. ქარელი. ცხოვრების დღევანდელმა მიმდინარეობამ ამ ჩვენ ქარელზედაც გავლენა იქონია. ქარელი დღეს არ არის ის, რაც იყო ამ რამდენისამე წლის წინეთ.

წინეთ ფართლით ეპქრობა წერილ მოვაქრე ებჩაელთა ხელში იყა. ესენი საფელი-სოფლთა, კარიკარ სიარულით ასაღებდენ ფართლეულობას. დღეს კი საფლათ მისიარულე მეფართლე ებჩაელს იშვიათათ შეხვდებით: ფართლით მოვაქრე ებჩაელთა უმრავლესობა გაკორტრდა და მის ნაცელათ ცხოვრ-

ბამ ჯერ-ჯერობით ორი მსხვილი მეფართლე წამააყენა, რომელთაც აამენეს საფართლე მალაზიები და გაჩაღეს მათში არშინის ტრიალი. მუშტარიც—ღვეთის მოწყალეებით—ბლომათ ჰყავთ, მაგრამ მათი გამაღლიდრებელი წყარო მარტო ფართლით ეპქრობა არაა. აქვე აქეთ მათ საწერშიმალა ლექქნებ და ფულსაც ბლომათ ავალენენ მცხოვრებლებზე მამასისლის სარგებელით...

საწერიმალა ლექქნებიც ბლომათა აქ. ზოგი მათგანი სამუდამით იკეტება, ზოგი კი მაკრა იკიდებს ფეხს და ნელ ნელა შლის ფრთებს. არის აგრეთვე აუთოიკი პატრონისებური ნიხრით და ეპქრობაც გეპჩრინაი აქეს...

არ შევიძლია დავტოვოთ უყურადღებოთ აგრეთვე საღაღური, იგი დიდ მნიშვნელოვანია როგორც ქარელისათვის, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებისათვისაც. აქ მოდის და იგზავნება აქეთ-იქით გაყიდული და გასაყიდა მეურნე-გლეხის ნაწარმოები. ასეთმა მოძრაობამ აქ მოაზრდა მრავალ-ფეროვანი „მოღრადლიკები“ თავისი ავეტებით, რომელთა ვაძეერაობას საზღვარი არა აქეს... საღაღურის მახლობლათ გამართულან სამიკტნოები, რასაც ამ რამდენისამე წლის წინეთ ეერ ნახვდით. ეს სამიკტნოები კი არა, უფრო საღალატოებია „კეთილშობილთა“ ღე „არა კეთილშობილთა“ ჯიბებისა. მიკტნები ერთ და იმავე ღრას მიკტნობენ ღე „მოღრადლიკობენ“...

აქვე, სამიკტნოების უკან, ხეჩხის მანქანას შედგამია ხენენა, ვი უშველებელი: ჩქარა დავამზადო ხის მასალა და გავეზავნო აქეთ-იქითო, მანქანას ვარს ახვევია მუშა: ზოგი ხეს აძლევს პარში, ზოგი დახერხილ ფიკრებს ართმევს და ალაგებს დანიშნულ ადგილს, ზოგიც მოვაგორებს დასახერხ ხეს... აქვე მახლობლათ მდ. მტკრის მარჯვენა ნაპირს ტიებია მოხერგილი, შეგროვილან მეტყეეები, ჩაუკიდნათ მიკიდველს და გამიკიდველს ხელი-ხელს და შუა კაკი იძახის: „ხეიჩი უთხარ შენ საქარენლოა“, „მაღარჩი შენზე იყოსო“ და სხვა...

ერთი სიტყვით ქარელმა ფეხი აიდა, ალებ-მიცემობა ძლიერდება, უმცირესობას სიმსუქნე დავტყუა, უმრავლესობას კი—სიღარიბე და ეკონომიურათ დაკემა ეველა ამის მოწამება ქარელი და მნახველს ყურში ჩაუჭრულებს: „გადამზდა ვადანაეალი, სტეას უარესსა მოველიო“...

ქართლელი.

ქაზოვი. პურის ფსმა აიწია. ფუთი სასწორზე 140—150 კაბ. იყიდება; ისე საფლათაც ოთხ მან: და მეტზე ავიდა ფსი, და აღარც შოენაა. პურის ფსში აწევა სასარგებლოც იქნებოდა მწარმოებელ

გლებთათვის, რომ ეს უკანასკნელი ჰყიდდნენ. ყიდულობს გლეხი პურს გაყიდვის მაგიერ, და აბა ჩალა აქვს გლეხს გასალეგ-გასაყიდი, როცა პურსაც კი უიღულობაზე პურის სიძვირემ ძალიან შეაწუხა და დააღონა ქიზიყი. დიდ გაკირებებაში არიან ნამეტნავით სოფ. ეკიორ-ანავა, მაშნაირი და უფრო ეს საქაზბო დიდცი და პატარაცი. შემოდგომაზე კი სოფლები ისეთ გაკირებებაში ჩაეარდნენ, რომ მოიხარეს ქვედი და დაედროჯენ ქიზიყის შემძღვებელ სოფლებს: ქვემო და ზემო მახანანს, მირზანანს და ბოდბეს—გაკირებებაში მოგვრედეთ, ძმობა გვიყავით, შიმშილისაგან დაგვისხენით და თქვენ მალაზიგებში შენახული პური და ფეტვი ჩვენ დაგვითმეთ იმ ფასში, რა ფასშიაც აძლევთ ხოლმე თვენსავე ერთ სოფელსათ. ან როგორც ამ ოთხი წლის წინეთ მოვაჯერე ოთაროვს დაუთმეთო. მაგრამ ჩვენი ქართველი რიღს ქართველი იქნება, რომ მოიძიოს შევლა ცოცხლად. სხვა გარეშე კაცი რომ მოადგება კარს, იმას დიდი აზრით გაუშასპინძლდება, თავის ქონებას იმაზე ვადააგებს და თავის მოძვეს კი გაკირებებაში ფეხს დააქერს და დასაჩინობს. ასევე გულ ციფათ მოექცეს შედობებული სოფლები ამ გაკირებებელ დროს მოუსაყვარობით დახარალებულ სოფლებს, თუმცა კი ოთხი წლის წინეთ თავისი სულადი ჩალის ფასათ აუთმეს ოთაროვს და მერე კი ისევ თითონ იმისაგან კიდს ხუთ მანეთათ ყიდულობდნენ. ზემო დასახლებულ გაკირებებულმა სოფლებმა უკანასკნელ ღონეს და მიმართეს: რაც სარჩოსა-სადადებელი ენადან გაჰყიდეს იმ იმედით რომ მომავალში კარგი მოსავალი მოგვივა და ისევ შევიძენთო. ჩალის ფასთ გაიღეს რაც რამ ენადთ და როგორც იყო გაზახულამდე მიადრეის, ამ გაზახულზე მომეტებული ნაწილი ამ დასახლებულ სოფლებისს როცა ბალახეულობა მოვიდა, იმითი მიღის იოლათ. კიდევ კარგი თუ წელს მიინც მოვიყიდათ მოსავალი, თვრა ეს სოფლები სულ მიწასთან გასწორდებიან. მაგრამ ან კი ჩას უზამს მართო შევანდელი მოსავალი, რაც უნდა კარგი მოსავალიც მოვიდეს, ზღვით ხომ ეგრე გასკდება, რადგან მოუსაყვარობის გამო ძალიან ცოტა დათესეს. მეორეც ესა: ეს სოფლები ერთმა მოუსაყვარებმა წელიწადმა ხომ არ შეაწუხა—ეს 9—10 წელიწადი სისტემატიურათ თან-და-თან ქონებით უკან მიდიოდა. სოფლები შეფენილია გორებზე და მინდვრები კი დაცემული ალაზნის ველზეა გაშლილი. ხალხი მიწის მხენელია და პურის მოსაყვარებ ცხოვრობს. უწინ საქონლის მოყვლა-მოშენებასაც მისდევდნენ ეს სოფლები, მაგრამ დროთა ვითარებას მიხედვით საქონელი ევენახებზე გაუყვლიათ. მამულები სულ ყველა ამ სოფლებში როგორც მთლათ მთელ წინამხარ ქიზიყში, საერთო

სახოვადო მფლობელობაში ყოფილა და სათემოთ უხმარათ, როგორც დღესაც ხშირათ შეხედებით ქიზიყში. სოფლის ახლო-მასლო მდებარე და უფრო ნოყიერი და სარგო მამულები კერძო გაეღენიან პირთ დაუქერათ და საკუთრებათ გადუქნიათ და ხელმოკლე და მარტოხელა კაცები კი შორს მოუწყვედევით. შორს წასვლა, იქ მოქმედება და იქიდან სარჩოს ზიგვა ხელმოკლე ხალხს ძვირათ უჯღვებოდათ, და ამიტომ სულ მთლათ თავს ანებებდნენ მამულს. ამიტომ ბევრი გლეხი დარჩა ყოველად უხმარულათ. სოფლიდან გამოირიყულმა და უმამულოთ დარჩენილმა გლეხებმა ბევრმა იხმარა კუთა და სამუდამით ზოგანათ დილორ მუშათ შემძღვებელ გლეხთან ერთად გარეთ გასულა არჩია. ბევრს კადღობა ბედაც. ბევრმა მოვაჯერებთან იშვია ბინა და შემდეგ თვით გადიქა საკუთარ მოვაჯერეთ, ამისთანანი ბევრნი არიან ეკიორში, ბევრიც თამბაქოს მუშაობას მიჰყვა, რადგან იქ უფრო უხვათ ასაჩუქრებდნენ შრომას და შემდეგ თვით დაიწყო საკუთრათ თამბაქოს მოყვანა. მაგრამ ეს ბედი ცოტას ხედა. მომეტებული შინ დაჩრენ და მამა-პაპუათ მიწას ამოშავებდნენ. წინეთ არც მიწა ჰალაღობდა გლეხს და უხვათ აჯილოვებდა მის შრომას, კოლზე 20-ს და მეტ კოდს აძლევდა. მაგრამ აქაო და საერთო მამული არისო შეიძლება დღეს თუ მე მიკირავს, ხეალ სხვამ დაიქორაოსო, ცდილობდა, რაც შეიძლება, ნოყიერი ალაზი ეაჩრია და რაკი ერთხელ დაიწყებდა მოქმედებას იქიდან აღარ გამოდიოდა და თავს აღარ ანებებდა იმის შიშით, რომ მე რა დაეანებო თავი სხვა ჩემი მეზარბელი, ან მომე დაიქერსო. ამნაირმა გამუდმებულმა ერთგებმა მოქმედებამ კი მიწას ძალა გამოაჯალა. მაგრამ ჩვენმა გლეხმა ეს არ იცის და ამაზე არც ზრუნავს. ეს ისევ ძველებურ მამა-პაპურ იარაღს ხმარობს, ისევ ერთსა და იმავე თესლობა თესავს. ამას ზეუ კული ამინდებიც დატაცე—გაზაფხულის წვიმებმა ალაზნის ახლო-მასლო და სოფლის ბოლოებში მოსული ჰირნახული აჩაღავა და შიგ ამაოლოპო. გაზაფხულის დაიწმებულმა წვიმებმა მთელი სამი ოთხი წლის განმავლობაში თუ პურის მოსავალი ჩაუღებო, ბალახიც არ ააღებინა გლეხს. ბზე ხომ აღარ ქაინდა და რაკი ბალახიც ეგრე აიღო, საქონელი ზამთრობით უკეევაი ჩრებოდა, რის გამოც ძლიერი დაუძღვრდა და დაზარალდა, თუ გადაარჩინა კიდევ სადმე ისიც სარჩოს მოსაპოვებლათ გაჰყიდა და დარჩა გლეხი პირში ჩალავამოკლებული უსულალო და უსაქონლო. თუ პურის მოსავალია ულატა გლეხს, არც ღვინის მოსავალია შეუწყობა ხელი. ამასთანავე ამინდებმა ხელი შეუწყვეს სხვა-და-სხვა ვაზის ავთმყოფობას. მოედვა ევენახებს ობი, ნაცარი

სხვა გვარი სატყევერი და 7—8 წლის განმავლობაში სულ წახანდია მოსავალი. მართალია სხვა ქვეყნებში ებრძვიან ამ სატყევერებს და ამით აღარ ეშინიათ, მაგრამ ჩვენმა გლეხმა ჯერ ვერ შეიგნო, თუ ამას წამალი ჰქონდა და მოუსაფლოებას ღმერთს აბრალებდა. ახლა თუმცა ვაიგო და მიხვდა კიდევაც, მაგრამ რა ქნას, ქონება აღარ მოადევს, რომ წამლები იყიდოს და ენახებს უწამლოს. რაც წინა წლებში მოუსაფლოებას ქონება გადააჩინა, მაშინა დღე და წრეყარდელ წლების მოახლოება ამ უკანასკნელმა ორმა წელმა ხომ მარტო მოუსაფლოება არ აკმარა. განდა სატყევერი აეთმოყოფა და სულ პირქვე დასცა ხალხი. ერთი უდიდესი სოფელი ვაჭირი სადაც 800 კომლზე მეტი ითვლებოდა ვანადაგურა, საქობო ხომ ნასოფლარს დაამსგუხს, მაშინადაც ამ წელს ხელი მიჰყო და თუ მალე არ ეშველება, სულ მიწასთან გაასწორებს. დღეში სამი ოთხი მიცვალებულია ამ სოფლებში. ახლა ზედ დაუმატეთ ამ ვაჭირებს ჩვენებული ალაპები და დიდი ხარჯი მიცვალებულის დასაფლავებაზე, ღელის გადასახადი და თვალ წინ წარმოგიდგებთ მათი უნუკეში მკვლამრებოდა. ჩვენებული ფული იძულებულია, როგორც უნდა იყოს, იგალოს გლეხი და თავის მიცვალებულს კი პატივი სცეს და დიდი ალაპი გადაუხადოს. ხშირათ ოთხი-ხუთი დღე რჩება მიცვალებული სახლში, ვიდრე მემცხედრე ფულს იშოვოს. ამ ხნის განმავლობაში კი შინ სახლი საცხე აქვს სატყევერებით. კიდევ კარგი, თუ ფული მალე იშოვა. ოღონდ კი იშოვოს ფული საფლავლათ და იგი იმას აღარ დაქვებდა, რა სარგებელს აძლევს. დღითი დღე ეს სოფლები ქონებით უკან მიდიან და ხალხიც უფრო მეტი აკლდება. ან კი რა იხსნის ხალხს სიკვდილისაგან? უქონლობის გამო რიკიანათ ვერ იკვეთება. ძნელათ შეგვხვდებით ოჯახი, რომ კვირაში სამჯერ ხორცეული შეჭამოს, თევში რამდენჯერმე ღვინო დალიოს. სახლში სიცილი იხოცვიან და გარეთ კიდევ ხომ უარესია. მომეტებული ნაწილი გლეხთა ზამთარ-ზაფხულ ერთსა და იმავე შესამოსლით დადის. ეს რალაც რკინის ფეხები შემოიღეს, ამან ხომ უფრო უარესი დღე დააყენათ; უცრათ აპალოლებენ, ხელათ გახურდება, დაცხუნებს ხალხს და მერე უცრათ გაჭრება და გამოვა თუ არა კაცი გახურებული სახლიდან, გაცოცხდება და ფულტყების ანთებაც გაუწინდება. ამათვის ხომ ექიმი არ მოაპოვება, რომ თავის თავს მალე უშველოს და სიღნაღიდან ექიბის მოწვევა კიდევ მარტო რჩეულთა ხეცდრია, სიძვირისა გამო, ასეთ ვაჭირებაშია ხალხი და ქათმებივით იხოცვიან.

კვირიდან კვირამდე.


ბურჯინი - დრონი იცვალენ - ახსოა, სადასა დასა? — ახლა კატუნო მიდებ-მოადება - კერითა-კო და თაქო — სასახლო — ...

ეს კვირა კრებების კვირაა. რაც კი რაიმე საზოგადოება გვაბადია—სულ ყველამ ამ კვირაში მოიყარა თავი და თავისი საქმიანობა, თუ საქმიანობა საჯაროთ გამოჰქონია. წერა-კითხვა, ხელმოწერება, ვაჭრობა—აი, რის გარეშე მოატრიალდენ წვერები და ააყენეს ერთი ალიაქათი. ამ საერთო ორგანიზაციაში ყველაზე უფრო თავი იხსებულა წერა-კითხვის საზოგადოებამ. ამ საზოგადოებას ერთ მეტათ საინტერესო გამოვაბა ჰაყეს, პირველათ, ის იხსენივ ძველია, როგორც თვით საზოგადოება. მისი წევრები უცვლელნი, უკუდადენი* ვახლავან. აბა, ვინმე ვაგებოს მათ წინააღმდეგ სიტყვის ამოღება ვაი მისი ბრალი, ისეთ საქმეს წაქცევენ, რომ სულ ვაიმე დედას აძახებენ. და მართლაც ხუმრობა საქმეა, ნეტავ ვინ ჰგონიათ ეს უკუდადენი? ცესნი სულ ბურჯები არიან, დიას, ბურჯები, და მერე რანაირი ჩვენ უხადრუც საქართველოს ერთი მათგანი რომ გამოეშალას, შენი მტრისას, სულ ერთიანათ დავილუბებით და მერე მშვიდობით, აღარც წერა-კითხვა, აღარც საქართველო, და ასე ვაშინჯეთ აღარც რასამე გამოვაბა! ერთი სიტყვით თუ ჩვენ ჯერ კიდევ სული შეგვრჩენია—ამას ამ ბურჯებს უნდა ეუბადლოდეთ, თუ თქვენ ეს არ გვჯერათ, ჰქონებთ მათ და ისინი დაგარწმუნებენ...

* *

და, აი, ეს ბურჯები კაი ხანია ბურჯობენ, კილათ კიდევმე წერა-კითხვა მოიფინეს—მათენეს და ბოლოს ერთ ისეთ კუნტულში მიადრეს, რომ იქიდან უკან დაბრუნება არ იქნა და არა. აირია მონასტერი, შერიცა ტბილი, გემრიელი ცხოვრება, გადაბარუნდა ქვეყნიერება; გამოგონა განსაღვლეშია. ბურჯინი ყვირიან: სამშობლო ილუბებ! ვაგეშურეთ მისად მისახარებლათ, მარა რას მიგზმარებთ, მათაც არ ცოდნიათ, ჩვენი მოხმარება ვაუკეთებს რასმე თუ არა. ჯერ ძალიან ბევრი იდავიდარებს ეს თავის ვაჭირება ემვალათ, ძველებური ბაქი-ბუქობით გამოსულიყვენ, მარა აღარ მოხმარებ, ძველი დრო გამჭრალა და ახალი დრო კი ასეთ მალულლობის აღარ ეწყობა. რა ვაწყობა, წახდა დროება, ასე ვაშინჯეთ გამგებობასაც კი პასუხის გება მოთხოვეს ზოგიერთ რამეში, მოდი და ნუ იტყვი მეორეთ მოსვლა კარზე არ მოგედგამიანო, როგორ არ მოგედგამიანო, ლამის არის კარებიც შემოაწარიოს და ასეთი თან-ხელ-ღმობისთვის ძირბუღიანათ დავანგარიოს.

ქაიხევი იმერელი.



იაპონიის სატახტო ქალაქი იედა.



პო, იმას მოგახსენებდით, საჯაყი საქმე დატრი-
 ალდა, წერაკითხვის საზ. გამგეობას 30 მაისს სენა-
 კის სკოლის შესახებ პასუხი მოთხოვეს! გამგეობაში
 შეიქმნა ერთი ფუკა-ფუკი, ერთი ალთას ეცა, მეორე
 ბალთას, მარა გამოსაძერენი ჭუჭრუტანა არსად
 გამოიწდა—გარდა ერთისა—თავის თავის უარის ყო-
 ფისა, ამაზე ჩვენ ჯერ ჩვენი აზრი არა გვაქვსო რი-
 ბიანათ განაცხადა თავმჯდომარემ. და მერე რ ტომ
 არა გაქეთ? რასაკვირველია, აზრის უქონლობას ვერა-
 ვის ეუციკინებთ, ეს ჩუკულუბრივე მოვლენაა, მარ-
 საგანი გაარჩიოთ, განჩინება დაადგინოთ ერთხელ,
 ორხელ და შემდეგ აცხადოთ ეს ყველაფერი ასე იყო,
 მარა აზრი მაინც საბოლოოეთ ვერ შევადგინეთო—
 ეს სწორეთ ბურჯების საკადრისია. აზრო, სადა ხარ?
 ეამე თუ იქ არ-ს, სადაც გამგეობა არ არის, მარა
 მოითმინეთ, გულს ნუ ვაიტებთ, ღმერთმა არ მოგვა-
 კლო ერთი-ორი აზრიანი კაცი—ეს თავმჯდომარის
 ამხანაგი და მისი მდივანია. პირველი ხომ უარს
 ამბობს პასუხის მოცემაზე, ჯერ ეს ჩვენც არ ეცი-
 თო, მეორე და მესამე კი მას აპაზი არ ეთანხმებან,
 ვიცი და ძალიანაც ვიცი თო, და კიდევაც გამოაქ-
 ვეყნეს ეს თავისი „ყოლნა“.



და მერე იცი თ რაში მდგომარეობს ეს „ყოლ-
 ნა“? რაში და ყიფიანის გამართლებაში, მის ადვოკა-
 ტობაში. ბ. მდივანი ჯერ წარბ-შეუხრებლათ აცხადებს:
 „კვალში“ დაბეჭდილი წერილები „კოტა (!) დამახინ-
 ნებულთაო!“ მერე, უთუთ გაიფქრა, ეს რა წაშო-
 ეროშეო, და მოჰყვა ამის განმარტებას: დამახინჯება
 ისე უნდა გაეფიქრო, რომ აფტორს სხვა დასცენა გა-
 მოუყვანიო;— ასე და ამა პირსა ზედა. მაშ თქეთი არ
 ყოფილა დამახინჯებული. და თქვე რომ ს-ბნელეს
 მანც ს-ნ-თ-ე უწოდოთ—ეს რა ჩვენი ბრალი იქ-
 ნება, ეს მით უფრო სკიკრიველია, რომ ყველა ამას
 ამბობს ის, რომელმაც, როგორც მდივანმა, კარგათ
 უნდა იცოდეს საქმის ვითარება და აგრეთვე თითო-
 იყო ერთი რევიზორთაგანი. მარა ასე ყოფილა ამ
 წუთისაფლის ბრუნვა, ბრალმდებელი დამკველათ
 ხდება და დამკველი ბრალმდებელათ. მარა ვი თუ
 ერთხელ ბრალმდებელი ბრალდებულათ გადაციქეს!
 ამ ახალ ადვოკატს ესმარება მეორე ადვოკატი—ბ.
 ცხედაძე, რომელმაც წარმოთქვა შემდეგი შეთანხმანი
 სიტყვა: ბ.ბ. მსაჯულთო, ჩემი კოინგტი სრული მართა-
 ლი გახლავს, რევიზორებმა შემაწაფეს და მომეტებულ
 ნაწილათ მსწავლებლების ბრალდებანი, ისიც უმთავ-

რესნი, უსაფუძვლონი აღმოჩნდა* (ივერია № 116).
 სად, როდის, რომელი - ეს ალღობა უწყის. ლაპარაკს
 საბუთი არ უნდა, ისე როგორც საზოგადო ფულის ხარ-
 ჯვას არაფერი გასამართლებელი საბუთი არ ეჭირება. ეს
 გახლავს ახალი ბუზვალტერია, ყოფიანს მიერ აღმოჩენი-
 ლი ზ გამგეობის მიერ მიწონებული. ეს გახლავს ახალი
 მოდის ადვოკატობა, გამგეობის მიერ აღმოჩენილი და
 ყოფიანის მიერ ნება დართული. ერთა სიტყვით სიბ-
 ნელის და არეულობის მოტრფიალენი შეერთდენ,
 მოედანზე გამოვიდენ, მარა ფაქტი, ის ოხერა ფაქტი!
 ის რჩება შეურყეველი, შეუცვლელი ზ რამდენიც უნდა
 იღვი-დარაბონ, იმას იატრს ოდენასაც ვერ ჩამოაკ-
 ლებენ. ამაზე მეტ იქნება? ვერც ერთმა ვერ უარ
 ჰყო ის რომ სკალის ნიეთიერი მხარე სულ არეულ
 დარეულობაში ყოფილა, რაზედაც მასწავლებლები
 უთითებდენ და რევიზორებმა დაამოწმეს, და აგრეთვე
 დაამოწმა თითონ ყიფიანმა. (იხ. მისი პასუხი), მაშ
 რალას იცავენ ეს ნაფიცი ვიქილინი? ამ დაცვაში კი-
 დედ ერთი ადვოკატი, ჩაერია, მარა ინსპექტორი რომ

ინსპექტორს იცაედეს—ეს რა გასაკვირველია. ასე და
 აწიარათ გამგეობის წევრები ერთხელ მის მიერ გა-
 დაყენებული კაცის დამცველათ გამოვიდენ? არა, ასეთ
 აზრს ისევე უნაზრობა ჯობს, კი იყო თავმჯდომარის-
 თვის დაეჯერებათ და ასეთი ჩმახვის მაკერ პირი
 დაემუწათ.

* * *

ბოლოს, ეს გამგეობის უგზო-უცვლოთ ხეტი-
 ლი ერთი კომედიით დასრულდა. ეს კომედია კენ-
 ქობიაა, უყარეს კენჭი, გამგეობამ თავის თავი აირჩია
 და არხინათ შინ გაუღდა—გვიმარჯვეთო! როგორ
 თუ თავის თავიო?—იკითხავთ. როგორ ზ კარგათ; სულ
 დღესწრო 31 წვერი, ამაში 9 გამგეობის წვერი იყო,
 ხოლო 3 სარევიზო კომისიის—სულ 12. დარჩა 19
 წვერი. მაშასადამე უმრავლესობის შედგენა დამოკი-
 დებული იყო გამგეობისაკან. საითაც ის გადაეკენ-
 ბოდა, იქით წავიღოდა 12 თეთრი კენჭი და ამას
 ოთხი-ხუთიჯ სხვა რომ მომატებოდა—მეტი საქირო
 აღარ იყო. და რადგანაც ჯერ თვეო და თვეოც, ნა-



ქ. მ. ავსის ს. ხ. ნ. ს. ს. ს.
 სასკანდინავიო რ. ს. უბლი ქ.
 20. ლიოთოქა

ს კ ო ლ ა ი ა ვ ო ნ ი ა ძ ი .


თქვაში, გამეგობაჲ თაერს თაისკენ ვაღვიდა ლე კი-
დევაც ვათეთრდა. მანვე აირჩია წყერებთ ორი ახალ-
გახდაც, რომელიც მოლაპარაკე ოპოზიციას! შევა-
დგენდა და რაღაც მანქანებთ გამეგობის კანდიდა-
ტის უყენდა ოპოზიციისა, ამა, გამოიკანით რა რჯუ-
ლის სურდა იყენ ეს ახალ-გახდები?



წერა-კითხვის საქმე ხომ ასე აბუჩათა იღეს, არა ნა-
კლები დღე დააყენეს ხელოვნებასაც. დრამატული
საზოგადოებრს კრება სწორეთ რომ სასაცილო კრე-
ბა იყო, ამასაც ჰყოლია ერთი გამეგობა, რომელიც
სულ ახალგაზღდებისაგან შედგება. ამათ გავედულოთ
ალიარეს: მთელი წლის განმავლობაში არა ვაგვიკეთე-
ბია-რაო! აი, რას ნიშნავს გამოუცდელიობა, ახალ-გაზ-
ღობა! ცოტა მოძველოა რომ ყოფილიყვენ, კრებას ასე
მიმართოდვენ: ჩვენ ვართ ხელოვნების ბურჯნი, ჩვენ
აღვადგინეთ ქართული თეატრი და გთხოვთ ხელ-
ახლა აგვიჩიოთო. მარა ახლა რაღა დროს, იმედია
მომავლისათვის მარცხ კუყას ისწავლიან. სამაგიეროთ
კრებაზე სხვა ბევრი სამეცნიერო გამოკვლევანი წარ-
მოადგინეს. ჩვენო, თქვა ერთმა, ინტელიგენტები ვართ,
მამასადამე წარმოადგენაც ინტელიგენტური გვინდა,
ხალხი ინტელიგენტობას მოკლებულია და მისთვის
წარმოადგენაც „ხალხური“ უნდა იყოსო. უეჭველია
ეს „ხალხური“ არა ინტელიგენტურს ნიშნავს. ე. ი.
ბრიყველს; ჰო და სიბრიყვე ხალხს და სიბრ-
ძნე ბ. ინტელიგენტო! არა, რატომ ასე მოი-
ძულეს ხალხი, ვერ ვამიგია, რაღაც ძალიანი მტრო-
ბა კი უნდა იყოს მათ შორის. კიდევ ღმერთმა ააშენოს
ის ორიოდ ინტელიგენტი, რომლებმაც ხალხი და-
იფარა ასეთი ყბათ-აღებისაგან.



ვაჭრობა? „შუამავლის“ კრებას უფრო მეტი
არა-ინტელიგენტები დაესწრენ და ამიტომაც უფრო
საქმიანათ ჩაიარა...



საღამო იყო, ჩვეულებრივ გაშვიტე ჭიქას;
ვუფრობოდი, ჩემთვის მარტო მარტო ვიარებოდი;
გულთ მწუწრდა მეგობარი, მისსაგან, იმ წუთას,
მაგრამ ახლას ვი არავის არ გვეტრებოდი.

1) ამ „ივერიას“ მანჩრ დაღა დაემართა, ნეტუ? გრე-
ბაზე ეველანზე მეტს ოპოზიციად დაბარებოდა, ხოლო
„ივერიას“ ეს სადღაც გამქრდა და მისი ადგილი გამეგო-
ბის ანაგატურს „ჩვენებს“ დაუჭერია!

ან რა მინდოდა... ჩემ ეტრება ცხოვრების მოძრა-
გებად ვაჭკონდა მოუსვენრათ შეოთაჲ ტრადი,
შე ვი მოეპოვდი ერთი წუთით ვუღას სავანეს,
რომ ცოტათ მანჩრ გამენდა გულს გენდის ადო.

ამ დროს შენ შეგვჯდა, უცხუდით შემოამეგრე
და გადიმე, გადიმე, მაგრამ სხვა გუბათ,
ასე ათრთოღებს ბაგეს მსოფლიო ავი სამწარე,
როგა მას გული ჩამე-ჟერავს გლოვისა ზარათ!

ან, არ უღრდა ის დამიღა მწუსარე თაღებს,
შორს მათ წადეში ნაღველი რომ განუგულიყო,
და მსოფლიო ოდნავ სხვაზე დაჭერა ობოლ სამარეს,
რომ წუთის შემდებ შე დრუბებუმი ჩაგარეგულიყო.

მინდოდა ამ დროს მოგეგვერდი ჩემს აზრდისა,
მეგონა გული ოვის ფადით ხელში შექარა,
და დაუჭურებდი იმის წელუღებს სუღარ ახლიდას,
მინდოდა ამ დროს შენს შეკრფზე ამოქეტირ!

რომ შენ მანჩა დატანას როგორ მიეკარდა,
როგა ენასავიდი გულის ნიშეუს, სახე ნაღველისს,
რომ შენ მანჩა ერთს შეკეტუო თუ რა მტანჯავდა,
როს განახული ვურს ვუგებდი ცხოვრების ტრადის!

მაგრამ შეგვედი, შენც სსკათაჲ გზა ავიარე,
ჩემი ნაღველი, ჩემი დღადი, არ ალვიარე,
შე შეშინოდა, შეშინოდა გულეცე დიმიდისს,
და ისევე ისე შევსვითი გულში სამარე!

ასე მივდივარ შე ჩემი გზაზე ობოლი ეტლით,
შე მსურს მიეკარდეს მოშორებოთ, საღნის ფარულათ,
დე ზოგა წვევლით, ზოგა სითთ ამონაგვენით
ამოიცილოს ჩემი გული, ჩავიღეს სრულათ!
შე ხომ მიეკარდა!.....

ი. ეგოშვილი.

საიდუმლო ბარათები. 1)

I.

ვერგებრათ დამიუქრა, მეგობარო, მენმა წერილ-
მა! გულით მწადიდა, ყველა კონხებზე გიბასუბო, მა-
გრამ, შენც კარგათ იცი, ყოველი კითხვის,—თუ ის

1) ჩვენ მდგომარეობაში საზოგადოების სულის
გვეთუბს უფრო გერსო მაქრე მოწერაში ჩანს, უფრო მე
არის გადშლილი მიმართულების პირდაპირობა და ს-
როვნების გაბეღულება. ამიტომაც ჩვენ განვიზრახეთ გ-
მოგვეუწუროთ ის გერსო წერილები, რომლებიც ასე თუ
ისე შექებთან ჩვენ საზოგადო ცხოვრებას და გავმტყვერ

საზოგადო საქმეს შეგნება, — პასუხი უფრო აწინაღობა-
ვაზომილი, უფრო მუშტრის თვლით განიწიჯული
უნდა და, მაშასადამე, პასუხს უფრო ერცელი ადგი-
ლი ეჭირება, ვიდრე კითხვას; ამტრამაც ამ წერილით
მხოლოდ პირველი კითხვის შესახებ ვინახებ.

მეკითხები: „რას შერება თანამედროვე ახალ-
გაზღობაზე?“ და თანაც შემომანტარი: „ნეტაი შენ,
რომ შეგეძლია სამშობლო ქვეყნის აუკარეს თვალი
ადენოა“.

მართლაც რომ სანატრელია სამშობლო ქვეყ-
ანში ყოფნა, მოძმეთა შორის ცხოვრება, მაგრამ
ყველა რადი ნეტარებს ამით! მხოლოდ აქ ყოფნა
ნეტარებს ვერ მიანეტებს კაცს; პირიქით, მწუხარე-
ბასაც აკრძობიებს, თუ მის თავის თავი სათაყვანო
კერპით არ გაუხსნია ხალხსათვის. დიან, ის ნეტარებს,
ვისაც ქვეყნის აუკარე არაფრთ ეპიტანება, ოღონდ
თითონ იცხოვროს მოსვენებით...

არ ვიცი, რომელ ახალგაზღობის შესახებ მე-
კითხები; მოხუც ახალ-გაზღობა, თუ ახალ-გაზღობა მო-
ხუცთა შესახებ! თუ პირველებზე — მოხუც ახალ-გაზ-
ღობზე — მეკითხები, ისინი მტკიცედ ადგანან იმ აზრს,
რომ, სამოცი წლის კაცს შეიძლება ახლათ ამო-
უფილდეს კბილი, ჭლარა თმა ხელ-ახლათ გაუშვე-
დეს და, მაშასადამე, ახალ-გაზღობაც იქნება... ახალ-
გაზღობას ხომ ახალი აზრის გამოთქმა შეუფერის და
სწორედ ასეც იქცევიან ეს ახალ-გაზღობე! მათ და-
იწყვეს თავიანთი პირველ-ყოფილი სიყმაწვილე,
და, ახალი ხორციით შემოსილნი, ცხოვრების ახალ
ხანაში გადმოვიდნენ.

ხალხი, რასაკვირველია, სიამოვნებით მიეცება
ბუნების ამგვარ საკვირველებას, ქედი მოიხარა მეო-
რეთ გაყმაწვილებულთა წინაშე და დიდი მოწიწებით
მოიხსენია მათი მრავალ-წლოვანი მოღვაწეობა...

რაო, რაო! — წამოიძახა ერთმა მათგანმა, — რო-
გორ თუ დიდი ხნის მოღვაწეობა? მართალია, დიდი
ლექსი მიმიძლიის სამშობლოს წინაშე, მე ვარ ნა-
თელი ამა სოფლისა და სოფელი ეკთლი საქმე ჩე-
მი ნამოქმედარია თქვენიში, მაგრამ მე ის რადი ვარ,
წინეთ რომ ვიყავი. მაშინ სხვა „მე“ ვიყავი და ახლა
სხვა „მე“ ვარ, ვადამდარა-ვადახალისებელი, სახალ-
გაზღობა დარჯჯავი ვატარებელი, ახალი სულითა
და ახალი ხორციით მოვლენილი ამ სოფლათ... დიან,

დაფრულ გულისთქმას. ასეთი წყაროები ჩვენ მძაფრი
მოგვიმოკვება და იმედა შექმნის მძაფრს მოკვებობით.
ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის პარათები რა-
მდებარე დღიურ მოკვების შექმნას და სწრაფად უში
შნათ, მინარულათ მსჯავრს დეკან.

რედ.

ახალი სულით, გეყვებით ჭეშმარიტებას, თუ ეს
ჭეშმარიტება არსებობს კიდევ სხვაგან სადმე, ვარე შე
ჩემსა*.

„პერიპა!“ — წამოიყრანტალა ვილაცამ ხალხში
და წინ გამოიჯვინა რაღაცის სათქმელათ, მაგრამ კი-
ნალამ პირში ბურთი ჩასჩარეს საკლდავ კაცს. მარ-
თალი უნდა გითხრა, არც დრო იყო ლაპარაკ-
ისა, რადგან „ამ სოფლის ნათელს“ თავის მოღვა-
წეობის ძველი და ახალი დაფორები ვადეშალა და
რალაცას ათვლიერებდა. ბოლას ერთი ჩაივტელა და
ამაყათ წამოაწყო.

„ბატონებო! 18... წელს მიტქვამს, რომ ჩვენ
მტკიცედ უნდა ვიცავდეთ ჩვენ ეროვნებას, ზენ-ჩე-
ვლებს, დედანებს, მიწა-წყალს და ყოველსავე მას,
რაც აღმინანსათვის ძვირფასია და რითაც ჩვენ ყვე-
ლა სხვა ერთაზე ვირჩევით. არაფერ ჩვენებურს არა-
ვითარი დამოკიდებულება არა აქვს სხვისებურთან
და ეს „ჩვენებურობა“, ავია თუ კარგი, ჩვენევე ვიწ-
ჯოთ, ვაგუჯობილდეთ ისე, როგორც თვალის ჩინს!
აი, ეს მიტქვამს მე მას ჭამსა შინა. ხომ მოისმინეთ,
ბატონებო!?“

„დიან, დიან.“ — მიუგო ხალხმა. „ორატორმა“
ისევე დაიწყო.

„ამ ჭამსა შინა კი მისს მოკახსენებთ, რომ დრო-
ნი იცვალენ ისე, როგორც მე ვიცეალე და ახლათ
მოვედლინე ქვეყანას, ახალი აზრების საქადავებლათ.
დიან, ის უნდა მეთქვა, რომ ახლა ჩემმა სიბრძნემ
სხვა წყარო აღმოაჩინა ჩვენი ენაობის; მე ვაუწ-
ყებთ, რომ ჩვენ ნათესაობა გეჭქის სხვა ხალხებთან-
ნაც, ჩვენი ენა მეტის-მეტათ წაავსეს იმათ ენას და
ზენ-ჩეველუბა ხომ ჩვენი და სხვისი ერთ კლასობრ-
ში ჩამოსხმულია. თუ არა გჯერათ, აი, მობრძანდით
და გადაათვლიერეთ ჩემი ახალი დაფთარი, რომელ-
შიაც ღრმა ფილოსოფიით არის დამტკიცებული ჩვენი
თა და სხვათა მზგავსება და, მაშასადამე, ერთობაც!
ლეთის წინაშე, სიტყვების ბრუნვაში ცოტა რამ ცვლი-
ლებდა, მაგრამ მე მათეც ვამტკიცებ, რომ ერთგვა-
რობას ეს არას უშლის. ამტრამაც მე ერთა სხვა
„ნაპრაველინის“ დეადექი და მსურს, ყველასათვის
დაეკანონო ეს „ნაპრაველინე“. ხომ მოკვსენებთ
ჩემი „ნაპრაველინე?“ ეს ის „ნაპრაველინე“ არის,
რომელსაც არავითარი სხვა „ნაპრაველინე“ არა ჩწამს,
ვარდა საკუთარი ქება-დღეღმისა“...

ეს თქვა ორატორმა და ყელ-მოღერებით გა-
დახებ მცინახეთ, რომელთა შორის ერთი ამხანა კა-
ციც იყო, ამ ამხანს წინ რალაც ოთხ-კუთხი რკინა
ედედა და ხელში კევი ეჭირა; ორატორმა რომ სიტ-
ყვა დასრულდა, იმან კვერი დამკრა რკინას; ეს, თუ-
რამე, იმის ნიშანი იყო, რომ მეც ველსტურებ ამ

„ნაზარელნიესო“. საცოდავი ხალხი კი პრადღე-
ბული შტუკურება ახლათ ვადმინარა-ვადახალისე-
ბულით და შიშით ხმა ვერ ამოვილა.

მართალი გითხრა, მეგობარო, ყველას სახეს
უკმაყოფილებს შეამჩნევდი, მეტს ვეტყვი, ბევრს ხა-
ზლითა და სიძულელით ავესო გული, მაგრამ ყვე-
ლამ ვადაყლაბა „დამსახურებული მოივანის“ ასეთი
ორქოფობა, აქაც, იქნება, სხვა რამეშ შეაკავებინა
ხალხს თავი, ვინ იცის, ყველას თავისი „ნაზარელ-
ნიე“ აქვს ცხოვრებაში...

მაგრამ გულს ნუ გაიტტებ! გწამდეს, რომ თითო
ოროლის კიდევ შერჩა სულის სისპეტაკე და თუცა
ლონე გამოღეული, უძლური ჰყენესი ცხოვრების
მძიმე ტვირთ ქვეშ, მაინც ამყობს იმით, რამ ერ-
თხელეე არჩეული გზიდან ვერაგითარმა დაბრკოლე-
ბამ ვერ ვადახვევინა და ვერაინ ხელიდან ვერ ვა-
მოგლიჯა მართლ-მსაჯულების დროშა.

შენი მეგობარი ჰოანსტო.




ბ-ნ ბალანჩივაძის მეორე ქართული კონ- ცერტი.

სუთმადონს სახელმწიფო თეატრში შედგა მეორე
კონცერტი ჩვენი ახალგაზდა კომპოზიტორის მელიტონ
ბალანჩივაძისა. ვანა დიდი ხანია მას აქეთ, რაც განათ-
ბულ მუზიკალურ საზოგადოებაში უფარს ჰყოფდენ
ყოველ გვარ აზიურს და განსაკუთრებით ქართულ
მუზიკას? ისინი ამბობდენ, მოუხერხებელია ნოტებზე
ქართული ხმების ვადალება, რადგან მას არც მუზი-
კალური ზომა აქვს, არც ტემპოა დღეს, ჩვენ თითონ
ჩვენი ყურით მოვისმინეთ „ინტრა-დუქტიოა“ ქართუ-
ლი დრამატული ოპერისა, რომელიც ყოველ მუზი-
კოს მკოდნე პირს თავისი თვით-არსებობის დაღით
განაცვიფრებს და ქართველს კი ნუევეშ სცემს, რად-
გან იგი პრძნობს თავის წარსული კულტურის შე-
ნანიშნვე ელფერს, მართლაც დიდი ღვაწლი და შრო-
მა მიუძღვის ქართველების წინაშე მელიტონ ბალან-
ჩივაძის, რომელმაც პირველათ ვაეფეროპიელოა ქარ-
თული ხმები თავისი საკუთარი ელფერის შენახვით.
სხვა უფრო გულშემმატკიარა ხალხი თავისი ეროვნუ-
ლი წარმატების გულისთვის ასეთ კაცს ყოველ მხრით
გულწრფელი თანაგრძობით მიეცებებოდა და ნამ-
დელი ნიეთიერ დახმარებასაც გაუწევდა, მაგრამ ჩვენი
ქართული საზოგადოება, ანუ უკეთ ვთქვათ, მისი დაყ-
ნინებული ინტელიგენცია, ვანუფიარობებელი პრძნო-
ბით აღჭურვილი, ასეთ ნამდვილ არტიკულ ბუნებას
ციე წყალს სხამს თავზე. ხშირათ ისიც მოხდება

ხოლომე, რომ ჩვენ შორის ერთ-ერთი ვერმე უტაქტო ბუ-
რტეა, ორი კვეციკს დახმარებთ გამედილურებული,
არჯისტს წმინდათა წმინდა გრძნობებს ულახავს, ვი-
თთაშკ იმ უფლებით, რომ იგი თავის თავს ქველ-
მამქმედს ეძახის. ხოლო ჩვენი თემური კარჩაყ-
ტილობა მუშკალურ გემოვნებ სს ყოველ სიყ-
ვლურეს აღმებატება; მაგალითათ, ჩვენ შევენიშნეთ იმ
დღეს, რომ საზოგადოება „გოგონას“ გოარკესტრებოლ
მღერას უფრო სიამოვნებით და ნაძალადღვის თანა-
გრძნობით, მიეგება, ვიდრე სენურ ლიდებულ ვფერ-
ხულს „ლიდეს“ და კუნხა ბედნიერს, თუცა ეს
ორი უკანასკნელი პრეს იმ გვარათეე შევენიერთ იყო
გოარკესტრებელი, როგორც „გოგონა“. ჩვენს ინტე-
ლიგენციას დღემდის მხოლოთ პროვინციალური ყუ-
რთა სმენა აქვს მარტო ვაღვიგებული და სხვა არა-
ქართულ-კახურ სიმღერებს და ჰანგების სიშვენიერეს
სრულთად ვერ გრძნობს.

აბა, ასეთმა სულით და გრძნობით ლატკამ ინ-
ტელიგენციათ როგორ უნდა ვაამხნევოს, ან რო-
გორ უნდა შეინახოს თავისი მომავალი დიდება! სამ-
წუხაროა, ფრიალ ნამწუხარო.



მეზაფერის შენიშვნები

(ქ. მაუსხენია. *)

მეტაქროსა. სახლის კარებზე მიკრულია ფართე —
სქელი ქაღალდი და ზედ აწერია დიდი ასოებით:
„atelier! იცლება სახელოსნო იმ თვის პირველ რი-
ცხვიდან და ჰქირავდება“. შევიდეთ აქ და ვნახათ,
თუ რა არის ეს atelier.

აჩის საწახავათ სახლის მეოთხე სართულში უნ-
და ავიდეთ. სახელოსნო იქ არის მოწყობილი. ეს
არის უბრალო ოთახი, მხოლოთ მეტათ განიერი და
ნათელი. ჩვეულებრივი ფანჯრების მაგიერ მისი ერთი
კედელი თითქმის სულ შუშას აქვს დაქურდილი,
ეს სინათლისთვის, ხშირათ სახელოსნოს სახურავიც
შუშისაა. სხვაფერი იკა ჩვეულებრივ ოთახზე უფრო
ღარიბათ მოწყობილია. შიგ ძალიან ცოტა მეგელია;
— ერთი ან ორი პატარა ტახტი, ორიოდ სკამი, ერთი
ან ორი უბრალო სტალი, — ეს არას და ეს, სხვა
არაფერი. მაშ ეს დიდი ოთახი სულ ცარიელი ყუ-
ფილა, იტყვის მოითხველი. ჰმ, ცარიელი კი არა,
ფერის დასადგამ ადგილსაც კი ვერ პოულობთ, ისე
გამოქვილია სხვა-დასხვა ნიეთებით. მარა აქ არა-
ფერი დაწყობილი, დალაგებული არაა, არამედ საშუ-

*) ის. „აქალი“, № 23.

ნელი არეულობა მეფობს. პირველ შეხედველზე ასე გგონიათ, აქ ხალხს უჩხუბნა, ერთმანეთი დაუმტყრევით და ყველაფერი, რაც კი სახლში უნახვით, თავის ადგილიდან გადმოუყრით და სულ იატაკზე მოუშენეთ. ასეთი არეულობა მარტო აქ თუა შესაძლებელი, თორემ სხვაგან არა. სურათი სურათზე, ტილო და ქაღალდის ყდა, ფოტოგრაფიული სურათები და საღებავის კოლოფები, ქიმიკური წამლების შუშები და ნახშირი, ნამდვილი ნახშირი, ქაღალის შლიაბა და იტყა,— ყველაფერი ეს ერთი-ერთმანეთში არეული სულ იატაკზე ჰყარა; ასეთი არეულობა სტროლი, სკამზე და ტახტზეც აქ მოშაობს მხატვარი და მისთვის, როგორც იცით, წეს-რიგი არ წერია. თავის ოთახში მას ყველაფერი არეულ დარეული უნდა ჰქონდეს, უამსობა არ იქნება, უამისოთ მას მხატვარი არ დაერქმევა...

ერთი ტანტი დადგმულია სახელოსნოს შუაგულ ალაკს და ზედ აფარა აბრეშუმის ტეთელი საბანი. ეს საბანი მთელ ტახტს ჰფარავს. ტახტზე ვაწარლილი ახალგაზდა ქალი, სურლიად ტრტელი, ხელში წიგნი უჭირავს, შიგ ჩაკეტილი და წეხს ვაკევებულსაგით, ნამდვილ ქანდაკებას წარმოადგენს. შეხედვით თქვენ, მისთვის უცნობი კაცი, —ის ამისთვის არც კი განძრეულა, სახეზე ერთა ძარღვი არ განძრევა, მისი სახის გამომეტყველება ერთი ბეწვაც კი არ შეტყლილა, არის ისეტი რამ დაშვადებული, როგორც იყო, და ვანაგრძობს ერთ მდგომარეობაში გაუნძრეველათ წოლას. სწორეთ ვაკევებულა! მისი სულის თქმაც კი ძნელი შესაჩნევია.

მის პირდაპირ დვას უშველებელ გაჭიმულ ტილოს წინ მხატვარი, ერთ ხელში საეგებეთ მოფარული პატარა ფიკარი უჭირავს, მეორეში სამხატვრო კალამი, იღებს ამთ საღებავს, უყურებს დაწოლილ ქალს და მისი სახე ტილოზე გადაქექს. ყოველ წუთში მხატვარს თვალები ტილოდან ქალზე გადაქექს, ქალიდან ტილოზე, ტილოდან კიდევ ქალზე და ასე დაუსრულებულათ. თუ დაკვირდებით, შეამჩნევით, რომ იგი მთლათ ერთიანათ ვატყებულაია თავისი საქმით, ქვეყანა აღარ ახსიავს, ისიც კი არ იცის, თუ ვინ უწეს მის წინ, სულიერიად თუ მკვდარი, ადამიანი უწეს უსულა ნიეთი. ის ხედავს სხეულს, სახეს, სახის გამომეტყველებას; ამ სახის გამომეტყველებაში სიცოცხლე იხატება და მხატვარსაც ეს სიცოცხლე გადაქექს ტილოზე, საღებავს და ტილოს სულს შთაბერავს და უსულა საგანს სულიერთ აქცევა. ამას ხელოვნება ჰქვია...

ვინ არის ვაკევებული ქალი? ეს მიუხეხნელი მოდელია, მხატვრების მეგობარი ქალი. მისი ხელობა მხატვრის წინ დავა თუ წოლავა. ის არის სინა-

მდელი, საიდანაც მხატვარი სურათსა ჰქმნის; ის, ასეთეთათ, ბუნება, ხელთ-უქმნელი რამეა, რომელიც მხატვრის ხელში ხელთქმნილი ხდება. მოდელის ხელობა აღილი საქმე არაა, უელოს ამის შესრულება არ შეუძლია, ამას სწავლა და შეჩვევა უნდა. მიუხეხნელი ქალი კი ამას ასრულებს და შესანიშნავათაც ასრულებს. როგორ მდგომარეობასაც მინს სხეულს მხატვარი მიადებებს, ის ისეთ მდგომარეობაში რჩება, და რჩება, თითქოს მოკვდა, ადგილს დაკცდა. თუ მოდელი იძძრევა, ერთნაირათ არ იხრდება, მხატვარს მოშაობა უძნელდება, რადგან ყოველ განძრევაზე დაწყებულ სახე იცვლება და ვაკეთებულ ნამუშევარს გადასწორება ან თვით მოდელს გასწორება ეჭირება, ამიტომ, სანამ მოდელს დასვენებს დრო არ მიეცემა, განძრევა არ შეუძლია. დასვენებ სთვის კი მას ყოველ საათში 15 წუთი დრო ეძლევა.

მოდელს მხოლოთ დასვენების დროს შეამჩნევთ რომ დაღლილუა, მოქანსკულია. ისე სკოდავით ამოქნადა და რაღაც სხვააზრათ იხმარება. თქვენ კი ამ დროს იქ ვანგრება აღარ ვარგავით; ქალი რომელიც ერთი წუთის წინეთ ქანდაკებას წარმოადგენდა, ახლა ხორცის ისხანა და ნამდვილ ვეათ იქცევა... უნდა ვაკეცეთ უქვევლათ.

მოდელის ქირა უქვე დადგენილა და აქ ვატრიაბას ადგილი აღარა აქვს. მხატვარი აძლევს მოდელს, თუ იგი მარტო პირის სახეს იღებს, საათში 50 ჰვეინინგს, თუ პირა სახესთან გულ-მკერდის გადაღებაც უნდა, 65 ჰვეინინგს, ხოლო რაიცა მთელი ტანის სურათს იღებს და მოდელს მთლათ ტანზე ახდენინებს,— 75 ჰვეინინგს; ჩვენ ფულზე ეს დაახლოვებით 25, 32 და 37 კაპ. გამოდის საათში. მაშასადამე, დღეში რომ 8 საათის მუშაობა ეიანგარიშოთ მოდელი მიიღებს ჯილდოთ მხატვრისაგან 2 მანეთიდან 3 მანეთამდე, იმის მიხედვით, თუ რას მხატვრს მხატვარი, მარტო პირის სახეს თუ მთელ სხეულს.

მოდელის ხელობას მიუხეხნეში ერთი და ორი ქალი რადი ეწევა, ამ ხელობით რამდენიმე ათასი ქალი ცხოვრებს. მოდელის არსებობა გამოუწეულია ხელოვნების განვითარებაში. მიუხეხნე ხელოვნების ქალაკია და ამ მხრით ვანთქმულია მთელ ვერობაში. მას აქვს ვანთქმული სამხატვრო აკადემია (დაარსდა 1818 წელს), საცა შეგარდები ყველა ქვეყნიდან მოდან. აქვს ამას გარდა კიდევ სვეიცალიური სამხატვრო სკოლა. აქვს შრავალი დაწესებულებები, საცა უთვალავი სურათებია გამოფენილი. ასეთია Pinakotek-ი ერთი (ძველი), Pinakotek-ი მეორე (ახალი), Muximilianeum, Scharckgalerie, ნაციონალური მუზეუმი; აქვე იმართება (1889 წლიდან)

ყოველ წლებით მხატვრობის საერთაშორისო გამო-
ფენა. ამ გამოფენაში იღებენ ყველა ქვეყნის მონა-
წილეობას.—გარდა მთელი გერმანიისა, იტალია, სა-
ფრანგეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, ამერიკა, ინგ-
ლისი, რუსეთი და სხვ. აქ იმდენი სურათებია გამო-
ფენილი, რომ უშველებელი „შუშის სასაბო“ (E-
laspulost) ვეღარ იტყვს. გამოფენა იხსნება მაისში
და იხურება ოქტომბერში. მის სანახავათ ბევრი უც-
ხოვლები მოდიან.

ერთი სიტყვით მიუხეხნი სულ მხატვრობათა
გადაქცეული და ადგილობრივი მცხოვრებელ ტკბე-
ბა აძით, უსაზღვროთ ტკბება. მიუხეხეული დაბადე-
ბითვე მხატვრობის მოტრფიალვა. მას მხატვრობის,
ხელოვნების სიყვარული ძეგლსა და რბილში აქვს
გამჯდარი. როცა საქმე არათეორი აქვს, ის თავის შე-
საქცევით უტკველიათ რასმე ხატავს, სახეები გამოჰ-
ყავს. სკოლის პატარა ბავშვის ნახატები რომ ნა-
ხიათ, სწორეთ გაშტერდებით, ისე შეინიერთა ხატ-
ენ. და ეს უსწავლელათ, თავის თავათ, ასე ეთქვით
—უნებით. მიუხეხეული კვირა-მოკლილ დღეს უე-
ჭველათ ერთ-ერთ „პინაკოტეკში“ ან გალერეაში
წავა სურათების დასათვალიერებლათ. ეს მას აჯერე
მინც უნახავს, მარა კიდევ მიდის,—არ ჰგებრდებ-
არც ერთ იმ სახლებში შესასვლელათ, საცა სურა-
თებია გამოფენილი, ფული არ გჭირდებათ, შეგელა მუ-
ქთია. მხოლოდ მარტო ხელოვნების გამოფენაზეა
გადასახალი დაწესებული.

მიუხეხეული აფანებს ხელოვნებას და ხელოვ-
ნებაც მასთან მიდის, მის სახლში იკეთებს ბინას,
ყველა ქვეყნის მხატვრები მიუხეხნენ იყრიან თავს
და მხატვრობაში ფარჯიშდებიან. ამ ქვათ აქ, მეო-
ნი, 5000 მტე მხატვარია,—ეს ნამდვილი სპეკია-
ლურათ მხატვრობა—ხელოვნების მიმდევარი ხალხი,
თორემ ისე ხელოვნების მოყვარულთა, ეითომ მხა-
ტვართა რიცხვი ხომ აუარებელია. მარტო სამხატვ-
რო აკადემიაში ათასზე მტე რევირდია.

ფ. პატრისკალი.

(შემდეგია აქნება)

„ქართლის ცხოვრების“ გადმოცემა

ქართული ენის შემოღების შესახებ

(ბ. ზარბის საზოგადოება წარმოადგის გამა)

(დასასრული)*.

უნა და ენის განვითარება, როგორც ზვეით იყო
მოკლეთ განმარტებული, ორგანიულათ შეკავშირე-
ბულია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან: საზოგადოე-
ბრივი ცხოვრების ნიადაგზე ენა პოულობს მკვიდრ
საფუძველს და იმავე ცხოვრების ზრდა-განვითარება
თანაბრათ იწვევს თვით ენის განვითარებას. ამიტომ,

როცა ჩვენ გვესურს გავიგოთ პირველყოფილი ენის
ხასიათი და მისი მიმართულება, ჩვენ უნდა შევიხი-
ლოთ პირველ-ყოფილი საზოგადოების შენობა, მისი
ორგანიზაცია. რამდენათ თანამედროვე განვითარე-
ბული საზოგადოება განსხვავდება პირველყოფი-
ლი საზოგადოებისაგან, იმდენათ თანამედროვე ენა
გულზე ენა განირჩევა წინა დროების ენისაგან. პირ-
ველყოფილი ხალხი, როგორც ვიცით, ცხოვრებს
გადაუნტულათ, ის დაყოფილია პატარა-პატარა საზო-
გადოებათ, გავუფრებათ, თემებათ. თითოეული თემი
ანუ გავუფრე თავის შინაურ ცხოვრებაში სრულიად
დამოუკიდებელია სხვებისაგან; ის ცხოვრებს თავის-
თვის, განმარტოვებით. მაშასადამე მის ენას ამ და-
მოუკიდებლობის და განმარტოების დიდი უნდა
ესხას, და ეს მართლაც ასეა: თითოეული თე-
მი ლაპარაკობს თავის საკუთარ დიალექტზე. რასაკ-
ვირევლია, იმ თემთა დიალექტები, რომლებიც ერთი
ნათესაობისაგან მომდინარეობენ, ამწერებული არაინ
ერთ საზოგადო საფუძველზე, ე. ი. ყველა ისინი ერთ
და იმავე გრამატიკულ კანონებს ემორჩილებიან. მა-
გრამ ამუხედვით ამის ერთი თემის დიალექტი მე-
ორისთვის არ არის გასაგები. ავსტრალიაში—მოგ-
ვითბრას ლეტურნო—ლექსიკონი (და არა თვით
ენა. ფ. მ.) ყოველ ფეხის ნაბიჯზე სულ ერთიანათ
იცილება და ამიტომ მუნებური მკვიდრი, ერთ-
მანეთს რომ რამე ვაგებინონ, იძულებული არაინ
ინგლო-სურის მიმართონ. ასევე ამაღ კალედონიაში მა-
ხლონეთ თემებსაც ერთმანეთის ენა არ ესმით. ამე-
რიკაში წითელ-კანიანები, რამელთაც ერთი საერთო
ტრატები (სარდალი, უფროსი) ჰყავთ, მაგრამ სხვა
და სხვე ჯგუფს ეკუთვნიან, ერთმანეთ შორის ნიშ-
ნითი ლაპარაკობენ, და ექსპამპირთ თემებში, ე. ი.
ნ. სადაც სათემო დადგენილების ძალით ცოლი უსა-
თუთო სხვა თემიდან უნდა იქმნას მოყვანილი, მამა-
კაცები და დედაკაცები სწორათ სხვა-და-სხვა დია-
ლექტს ხმარობენ.*) გაბრიელ სავარდი, რომელიც
1626 წელს მისიონერათ იყო ჰურონებში (ამერიკის
ველური ხალხი), წერს; „ჩრდილოეთ ამერიკის თე-
მებში იშვიათათ შეხვდებით ორ სოფელს, ერთ და იმა-
ვე ენაზე მოლაპარაკეს; თითქმის ერთ და იმავე
თემში სხვა-და-სხვა დიალექტზე ლაპარაკობენ.“*)
„კათოლიკელ მისიონერებს—ამბობს ბ. მიულერი
—ისე არაფერი არ აოცებს, როგორც იმ დიალექ-
ტების სიმრავლე, რომლებზედაც ლაპარაკობენ ამე-
რიკის ველური ტრამი. ცხადია, რომ ეს არ არის
განვითარებული ცხოვრების მჩვენიებელი, პირიქით
ენათა სიმრავლე ანიმტიკებს, რომ ამერიკის სხვა-
და-სხვა ტრამთ არაოდეს არ დაუარსებიათ დიდი ერო-
ნული სახელმწიფოები.“*)

ამნარათ ჩვენ გხედეთ, რომ ველურ ხალხში
მოანთესავე თემთ ერთი საზოგადო ენა არა აქვთ,
რომელიც ყველა თემის წარმომადგენლებისთვის

1) Ch. Letourneau. La sociologie, p. 582.
2) M. Müller La science du langage, p. 56
3) Jbib, 58.

*) ის. „გადა“, № 22.

იყოს გასაგები. თითოეული თემი თავის საკუთარ დიალექტზე ლაპარაკობს. ამიტომ რამდენიც თემია, იმდენი დიალექტია და კიდევ მეტი. მაგრამ ჩვენ ეიცინით, რომ ევლუციონის ხანა შეადგენს პირველ საფეხურს ყველა საზოგადოების განვითარებაში. ბევრ ადგილას ეს დღესაც ასეა, ეინაიდან იქ საზოგადოებრთა კიდევ არ ვაუვლიათ ევლუციონის ხანა. მეორე მხრით იქ, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოტეხაში შევიდა და განცალკევებული თემები თანდათან შეერთდნენ, რითაც საძირკველი ჩაიყარა ეროვნულ სახელმწიფოს დაარსებისთვის, ერთი დიალექტი თანდათან და ნელ-ნელა მეორეს უთმობს ადგილს. ერთხელ დაწყებული მოძრაობა არ შეწყდება; ეს მოძრაობა შეურყეველად მიდის წინ, თუმც ალავალავ ნელი ნაბიჯით. მისი შედეგი ორ გვერია: ერთი მხრით განჭრეობებული თემების ერთმანეთთან დაახლოება, შეკავშირება და მომავალი ეროვნული გაერთიანებისთვის ნიადაგის მოშაღება, და მეორე მხრით დიალექტების რიცხვის თანდათან შემცირება და ამასთანავე ეროვნული ენის აღორძინება. საიდან ან როგორ ჩნდება ეს ეროვნული ენა? ამის პასუხი ადვილია: როცა რამდენიმე თემის შეერთების ნიადაგი მოშაღებულია, ერთ რომელსავე უფრო მძლავრ თემის დიალექტს ეძლევა უპარატესობა დანარჩენებში და ის ედება ეროვნულ ენას საფუძვლად. დანარჩენი დიალექტები ისე ილესებიან და ოქიყეებიან ამ საერთო ენაში, რომ რამდენსავე საუკუნეს შემდეგ მეცნიერება ვერც კი პოულობს იმათ კვალს. მაგრამ მივჩინოვებ ადვილდნად, და უმეტესათ მიგებში, და აღმართო კიდევ დიდ ხანს ინახებან უცვლელად. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ადვილდნში თვით საზოგადოებრივი ცხოვრება მრავალ საუკუნოების განმავლობაში თითქმის სრულიად უცვლელი რჩება. წინეთ ფიქრობდნენ, რომ დიალექტები ვაუუტებუდი, და მახინჯებული ფორმა ეროვნულ ანუ ლიტერატურული ენისა. ეს აზრი დღეს სამუდამო უარყოფილია; პირიქით, დიალექტი ბევრათ უფრო ძველი ფორმა ეროვნული ენისა, საქორა ამასთანავე შეფრწინით რომ დიალექტები შეადგენენ იმ დაუშრეტელ წყაროს, საიდანაც ეროვნული ენა დებულანს სხვადასხვა სიტყვებს და საქორა ტერმინებს. ასე წარმოებს ენის ბუნებრივი ზრდა-განვითარება. თუ რომელი ჰქონდა ზურგს უქცევს ასეთ გზას და ყოველგვარ სასარგებლო შემქნას თავისი დიალექტებიდან და ევლუციონიდან თავილობს, ის ჩქარა მოკვდება, როგორც მოკვდა ძველი კლასიკური ენები: ბერძნული და ლათინური.

გადვილდეთ ახლა ჩვენ ეროვნულ ენაზე. დღეს ქართული ენა გავრცელებულია მთელ იმ სივრცეზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, გარდა რამდენსავე მივარდნილ ადგილებსა. მაგრამ რომ ეს ძველ დროში ასე არ ყოფილა, ამის დამსაბუქებლად, გარდა საზოგადო მოსახრებისა, ჩვენ ხელში გვაქვს რამდენიმე უტყუარი ფაქტი. ამას უწინარეს ყოვლისა დღევანდელ დარჩენილი კილოკავები ამტკიცებენ. როგორც მაგ., მეგრული, 4) სეანური, ინგოლოური, ფშავური და ხევსურული; არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის პროვინციალური კილოებიც, როგორც, მაგ., ვურული, ჯავახური, რაჭული და სხვები, რომლებიც აშკარათ მოწამობენ, რომ ისინი ერთ დროს სულ სხვა-დასხვა დიალექტებს შეადგენდნენ და დღევანდელი ჩვენი ეროვნული ენისაგან ისე იყვნენ დაშორებული, როგორც მეგრული ან ფშავური. მაგრამ ჩვენ კიდევ სხვა ცნობები გვაქვს ამის შესახებ. ძველი საბერძნეთის და რომის მწერალთა მოწამობით, დღევანდელი საქართველო დასახლებული იყო ურიცხვი ტომებით თუ თემებით, ესენი ცხოვრებდნენ ცალ-ცალკე დამოუკიდებლად. თითოეული იმათგანს ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი სათემო რჩევა და ლაპარაკობდა თავის საკუთარ დიალექტზე. ხსენებულ მწერალთა ნაწერებში ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ტომების სახელებსაც. მავალიათ ბერძნების მწერალი სკლიფას კარინდელი (ხუთი საუკუნის წინეთ ქრისტეს დაბადებამდის) ასახელებს შემდეგ ტომთ, რომლებიც ცხოვრებდნენ დასავლეთ საქართველოში: კერკეტები, თორელები, გენიოხები, კოლხები, ბიზერები, კეცენიერელები, მაკოკეფალები, მოსინეები, ტიბარელები და სხვ. 5) ხუთ საუკუნის შემდეგ სტრაბონი (66 წ. ქრისტემდის—24 წ. ქრისტ. შემდეგ) ცოტა მწკვილით თითქმის იმავე ტომებს იხსენიებს; ამას გარდა ქალაქ დიოსკურიის შესახებ, რომელიც მდებარეობდა კოლხიდაში შავი ზღვის პირათ. ის ასე მოგვითხრობს: „იქ იკრიბებიან 70 (სხვა ვაძლიერებით, რომელიც უფრო ნაკლებ სარწმუნოა, 30) სხვადასხვა ხალხი. ყველა ესენი სხვა დასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ეინადგან ცხოვრებენ დაშორდათ, არავისთან მისვლა მოსვლა არა აქვთ“. 6) პლინი, რომელიც ცხოვრებდა სტრაბონის შემდეგ (29 წ.—79 წ. ქრისტ. შემდეგ) ამავე დროს იხსენიებს შესახებ ამბობს: ეს ქალაქი ახლა აოხრებულია, მაგრამ წინეთ ის ცნობილი იყო, და ტომისთვის სიტყვით იქ 300 სხვა-დასხვა ხალხი იკრიბებოდა, სხვა დასხვა ენაზე მოსაუბრე; შემდეგ ჩვენც (რომანელები) ვაწარმოვდით იქ ჩვენ საქმეებს 180 თარჯიმანის საშუალებით“. 7) ასეთსავე სიმრავლეს თემებისას და დიალექტებისას ჩვენ ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგ., ალბანიაში, რომლის შესახებ სტრაბონი წერს: „ალბანია უფრო მწკვიმისების ქვეყანაა; წინეთ იქ თითოეული ტომს(თემს?) თავი

ნიმე უტყუარი ფაქტი. ამას უწინარეს ყოვლისა დღევანდელ დარჩენილი კილოკავები ამტკიცებენ. როგორც მაგ., მეგრული, 4) სეანური, ინგოლოური, ფშავური და ხევსურული; არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის პროვინციალური კილოებიც, როგორც, მაგ., ვურული, ჯავახური, რაჭული და სხვები, რომლებიც აშკარათ მოწამობენ, რომ ისინი ერთ დროს სულ სხვა-დასხვა დიალექტებს შეადგენდნენ და დღევანდელი ჩვენი ეროვნული ენისაგან ისე იყვნენ დაშორებული, როგორც მეგრული ან ფშავური. მაგრამ ჩვენ კიდევ სხვა ცნობები გვაქვს ამის შესახებ. ძველი საბერძნეთის და რომის მწერალთა მოწამობით, დღევანდელი საქართველო დასახლებული იყო ურიცხვი ტომებით თუ თემებით, ესენი ცხოვრებდნენ ცალ-ცალკე დამოუკიდებლად. თითოეული იმათგანს ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი სათემო რჩევა და ლაპარაკობდა თავის საკუთარ დიალექტზე. ხსენებულ მწერალთა ნაწერებში ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ტომების სახელებსაც. მავალიათ ბერძნების მწერალი სკლიფას კარინდელი (ხუთი საუკუნის წინეთ ქრისტეს დაბადებამდის) ასახელებს შემდეგ ტომთ, რომლებიც ცხოვრებდნენ დასავლეთ საქართველოში: კერკეტები, თორელები, გენიოხები, კოლხები, ბიზერები, კეცენიერელები, მაკოკეფალები, მოსინეები, ტიბარელები და სხვ. 5) ხუთ საუკუნის შემდეგ სტრაბონი (66 წ. ქრისტემდის—24 წ. ქრისტ. შემდეგ) ცოტა მწკვილით თითქმის იმავე ტომებს იხსენიებს; ამას გარდა ქალაქ დიოსკურიის შესახებ, რომელიც მდებარეობდა კოლხიდაში შავი ზღვის პირათ. ის ასე მოგვითხრობს: „იქ იკრიბებიან 70 (სხვა ვაძლიერებით, რომელიც უფრო ნაკლებ სარწმუნოა, 30) სხვადასხვა ხალხი. ყველა ესენი სხვა დასხვა ენაზე ლაპარაკობენ, ეინადგან ცხოვრებენ დაშორდათ, არავისთან მისვლა მოსვლა არა აქვთ“. 6) პლინი, რომელიც ცხოვრებდა სტრაბონის შემდეგ (29 წ.—79 წ. ქრისტ. შემდეგ) ამავე დროს იხსენიებს შესახებ ამბობს: ეს ქალაქი ახლა აოხრებულია, მაგრამ წინეთ ის ცნობილი იყო, და ტომისთვის სიტყვით იქ 300 სხვა-დასხვა ხალხი იკრიბებოდა, სხვა დასხვა ენაზე მოსაუბრე; შემდეგ ჩვენც (რომანელები) ვაწარმოვდით იქ ჩვენ საქმეებს 180 თარჯიმანის საშუალებით“. 7) ასეთსავე სიმრავლეს თემებისას და დიალექტებისას ჩვენ ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგ., ალბანიაში, რომლის შესახებ სტრაბონი წერს: „ალბანია უფრო მწკვიმისების ქვეყანაა; წინეთ იქ თითოეული ტომს(თემს?) თავი

4) რომ მეგრული ქართული ენის ერთი უტყუარი ფაქტი და დიალექტთაგანია, ეს განსაკუთრებით გავრცელებად გერმანულ პრფესორს შესახებ, როგორც აქვე უნდა ვწოდებ წინეთ ამაზე „ჰელმანგ“ თუა მოსსესქუადა.
 5) Гань. Изв. древ. греч. и рим. писателей о кавказе. ч. I, 1884, гл. 10 - 11
 6) ibid. გვ. 64.
 7) ibid. გვ. 105.

ენის მივე ჰყავდა და თავისი ენა ჰქონდა. იმათ ოც-და-ექვსი ენა აქვთ, ენაიდან ერთი ერთმანეთს არ ეკარებინა“⁸⁾).

როგორ ვიჭრობთ: ნუ თუ ყველა ეს თემები სხვა და სხვა ნათესავს ეკუთვნიდნენ და მათი ენებიც სრულიად დამოუკიდებელი იყვნენ? საქმარისთა სულ ცოტა დაკვირვება, რომ ასეთი შესებულგება უარ ეყოთ. შესაძლებელია, ზევით დასახელებული ტერ-რიტორიის ზოგ ადგილას, მართლა ცხოვრებდა უცხო ნათესავის ხალხი, მაგრამ უმთავრესათ ვაგრც-ლებული ერთი ნათესავი უნდა ყოფილიყო. როგორც უძველესი, ისე შერბინდელი ისტორია მოწმობს რომ დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს დროიდან უმთავრესათ ქართველი ნათესავი ყოფილა ვაგრცლებული.


ამაირათ როცა ქართველი ხალხი ცხოვრებდა პატარაპატარა ჯგუფებათ და თემებათ, ქართული ენა, როგორც ნაციონალური, არ არსებობდა. ეროვნული ენის აღმოცენების ნიადაგი მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა თემები შეერთების გზას დაადგენ. ეს ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია. მაგრამ საზოგადოთ ეროვნული ენის დასაწყისი მიეწერება რომელსამე გამოჩენილ ისტორიულ შემთხვევას, როგორც, მაგ., პოლიტიკური სახელმწიფოს დაუფლებება. ასეთ შემთხვევას ჩვენი ისტორია აწერს ფარნაოზს, რომლის შესახებ ჩვენი ისტორიკოსები უპირატესობა მი-სცემენ. აქედან წარმოადგა თვით ჩვენი ეროვნული ენის სახელმწიფოებდა. რომ ქართლის და არა სხვა რომე-ლისამე კუთხის უიალექტს მიენიჭა ასეთი უპირატესობა, ეს ადგილი აახსენელია. თვით ფარნაოზი ქართლი-დან იყო, და ამიტომ იმ დიალექტს, რომელზედაც ის ლაპარაკობდა, პირველი ადგილი უნდა დამო-ბოდა. მეორე მხრით მაშინდელი ქართლი, ანუ სა-ბერძნეთის და რომის მწერალთა იბერია, საქართვე-ლოს სხვა ნაწილებთან შედარებით ბევრათ უფრო დაწინაურებული იყო. „იბერია— მოგვიტხოვრებს სტრა-ბონი— ყველაზე უფრო მდიდარია ქალაქებით და სხვა საცხოვრებელი ადგილებით; ასე რომ იქითკენ შეხ-ველებთ კრამიტით დახურულ და ხელოვნურათ გაკე-

თებულ სახლებს, საეკლესიოებს და სხვა საჯარო შენ-ბებს“¹⁰⁾. იმავე მართანეს გადმოცემით ფარნაოზმა დაუდგა საუფუძველი ქართული ენის მწირობას. აი ამ ხნიდან იწყება შესამჩნევი ზრდა ჩვენი ეროვნული ენისა; ამ ზრდას შემდეგ ხანებში აუფრხვბდენ სხვა-და სხვა შინაური და გარეგანი მიზეზები. ქართული ენის ზრდა ჯერ არ დამთავრებულა: ის საჭიროებს ახალი სიტყვების და ტერმინების შეთვისებას, რო-გორც თავის დიალექტებიდან და კილო-კავებიდან, ისე განვითარებულ ერთა ენებიდან. რაც შეეხება ჩვენ ძველ მწიგნობარულ ენას, ის როგორც მკვლარი და ერის მასთან შეგვედლო აგრეთვე ბ. ნ. მარჩის სხვა მოსაზრებათა შესახებაც გვეთქვა ორიოდე სიტ-ყვა, მაგრამ ამას თავს ენებებთ. საზოგადო დასკენა აი რა არის:

აი მოკლეთ ის, რაც ჩვენ გვსურდა გავგზიზ-არებია მკითხველისთვის „ქართლის ცხოვრების“ ხსე-ნებული გადმოცემის შესახებ. ჩვენ შეგვეძლო ამ სა-ვანზე უფრო დაწერილებით და უფრო ვრცელათ გვე-ზაას მასთან. შეგვედლო აგრეთვე ბ. ნ. მარჩის სხვა მოსაზრებათა შესახებაც გვეთქვა ორიოდე სიტ-ყვა, მაგრამ ამას თავს ენებებთ. საზოგადო დასკენა აი რა არის:

ენა არის ბუნებრივი მოვლენა, მის დედა ძარღვს შეადგენს გრამატიკა, ენების ერთი-ერთმანეთში წე-რეებით ახალი ენის წარმოადგობა შესულუბელია, ენის გამოცეკვა ან სრულიად დეკარვა გადაგვარების შე-დეგება. თედაპირველათ არ არსებობს ეროვნული ენა, როგორც არ არსებობს თვით ერი. პირველათ ჩვენ ეხედეთ ურიცხვ კილო-კავებს და დიალექტებს. შემდეგ ხალხის ნივთიერი წარმატება აზადებს ნია-დავს ეროვნული ენის შექმნისათვის, რომლის ადგის იქერს დაწინაურებული თემის დიალექტი. „ქართლის ცხოვრების“ თქმულენა კალბი და უაზროა. ის იწი-ნააღმდეგება ყველაფერს, რაც კი დღეს მენციერებამ იცის ენის შესახებ. საშუაზროთ, ბ-ნი მარჩი სულ სხევაირათ ფიქრობს: მისთვის დაბეჭდილი „ქართ-ლის ცხოვრების“ ტექსტი სრული ჭეშმარიტებაა. ამას ქადაგებს ახალგაზრდა არმენიტი მენციერების ტაძრი-დან! ასეთი გარემოება ერთ და იმავე დროს საშუ-ხაროც არის და საკულისხმეიროც.

ფ. მასხაძე.



¹⁰⁾ Ганъ, е. с. გვ. 66.

⁸⁾ ibid. გვ. 68 71.

⁹⁾ ქართლის ცხოვრება, გამ. პრისსესია, ნწ. პირ., 1849 წ. გვ. 32.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.